



გაზეთი გაემოდის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N2 (9218)

20 ნანვარი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი

*აწივ, მწიფეთ აწი აწივან ახინი*



3

**ქონკურსი  
გაემოსხაღღა**

2


**სადილი  
ცოტაოდენი  
დაბვიანებით**

სოციალური სამსახურის ბიუჯეტი 9 000 ლარით გაიზარდა

**ჩუმი  
წახსყუთის  
აწ მწყხვენი**



5



6

**იბაწა მავტი  
“ვლასტი” მქონღა  
კომკავშირის  
მღივრობისას,  
ვიღრა ღღას  
გამგებღებს აქვთ!**



7

**სამტრედიის, გიღოსავ  
ქეთი ზარისავიღს!**

**საბა კასაკი \_ ინტელექტუალთა გუნდის  
აღმორიენა**

4

6064 ნაწილაკები

# კონკურსი გაიმართა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის 12 სამუშაო ერთეული დღემდე ვაკანტურია. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 19 დეკემბერს კონკურსი გამოაცხადა. კანონის თანახმად მსურველებს 10 დღის ვადაში შეეძლოთ განცხადების ელექტრონულად წარდგენა.

კონკურსი გამოცხადდა შემდეგ პოზიციებზე:

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი კეთილმოწყობის საკითხებში – 1 პოზიცია;

ადმინისტრაციული სამსახურის ინსპექტორების განყოფილების მთავარი სპეციალისტი – 1 პოზიცია;

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი კულტურის საკითხებში – 1 პოზიცია;

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტი კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში – 1 პოზიცია;

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში – 1 პოზიცია;

საზოგადოებასთან ურთიერთობის სა-

მსახურის სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში – 2 პოზიცია;

სპეციალისტი ქალაქ სამტრედიამო (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში – 3 პოზიცია;

სპეციალისტი ნაბაკევის, გომის, დიდი ჯიხაძის, გამორჩეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში – 4 პოზიცია;

ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარ-

მომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი – 1 პოზიცია.

2014 წლიდან საჯარო სამსახურებში თანამშრომლების მიღება კონკურსის წესით ხდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეს უკვე რიგით მესამე კონკურსია, რომელიც წინამორბედებისგან განსხვავებულად ჩატარდება. კერძოდ, თუ კონკურსი აქამდე სამ ეტაპად იყო გათვალისწინებული, რაც მოიცავდა საბუთების გადარჩევას, ტესტირებას და გასაუბრებას, ამჯერად კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება, თავდაპირველად საბუთების გადარჩევა და წერილობითი დავალების შესრულება. განსხვავება ისიც, რომ

ნაცვლად ქუთაისის იუსტიციის სახლისა, სამსახურის მძიებლები წერით დავალებას სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული კითხვების მიხედვით გაივლიან.

12 ვაკანტურ პოზიციაზე სულ 150 ელექტრონული განაცხადი დაფიქსირდა. კონკურსის მეორე ეტაპი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. წერილობითი დავალების ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ კონკურსანტებს შეტყობინებები ელექტრონული ფოსტით დაგეგმვანება.

შეგახსენებთ, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარე ვალერიან ფოცხვერია, მოადგილე – დავით ბაღდაძე, წევრები – მიხეილ ლეჟავა, ლამა ორმოცაძე, ნიკოლოზ სანაძე, ნინო შარაშენიძე და ალექსანდრე ლეჟავა.

## სოციალური სამსახურის ბიუჯეტი 9 000 ლარით გაიზარდა

6064 ნაწილაკები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2016 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი 700 000 ლარს შეადგენდა. აქედან სამედიცინო დახმარებაზე 148 000 ლარი იყო გათვალისწინებული, 64 000 ლარი – მედიკამენტური მკურნალობისთვის, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე – 90 000 ლარი, ახალშობილთათვის 34 000 ლარი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთათვის – 10 000 ლარი, შშმ-ულული შესაძლებლობის მქონე პირთათვის – 48 000 ლარი, დაიღობის პროგრამისათვის – 87 000 ლარი, ლეიკემიითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთათვის – 32 400 ლარი, ავვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის – 2 000 ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის – 12 500 ლარი.

2016 წლის ბოლოსთვის სოციალური ბიუჯეტი გაიზარდა და 976 700

ლარი გახდა. გაზრდა ძირითადად მედიკამენტურ მკურნალობას შეეხო.

“სამტრედიის მაცნე” დაინტერესდა, როგორია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამა. 2017 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი 709 000 ლარია. იგი წინა წლის დაგეგმილ ბიუჯეტთან 9 000 ლარით გაიზარდა.

როგორც სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე შენიშნავს, ეს ის გამონაკლისია, სადაც ხარჯვით ნაწილში არა შემცირება, არამედ ზრდა მოხდა: “თუკენ კარგად მოვესწინებთ, რომ 2017 წლის ბიუჯეტი 1 მილიონ 070 ლარით შემცირდა. შესაბამისად, ხარჯები შეუმცირდათ ცალკეულ სამსახურებს და ააი-პებს. საბედნიეროდ, ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებები გავეწიოთ, როგორც ოპერაციების თანადაფინანსებაში, ასევე მედიკამენტურ მკურნალობაში. დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობის ფარგლებში

წლის ბოლომდე კიდევ დავიმატებთ თანხას.”

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი ასე გამოიყურება:

სოციალური პროგრამები – 709 000; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა – 124 000;

ახალშობილთა დახმარება ყოველ მე-3 და შემდგომ ახალშობილთათვის (მუხლი 5) – 34 000;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (მუხლი 14) – 90 000;

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება (მუხლი 7) – 10 000;

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ. შ. ტრანსფერით 4.0 (მუხლი 10) – 10 000;

სულ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები – 565 000;

სოციალურად დაუცველი მოსახლე-

ობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მუხლი 2) – 66 000;

მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება (მუხლი 1) – 150 000;

ასი წლის და მეტი ასაკის უზრუნველყოფა დახმარება – 2 000;

შშმ პირების ფინანსური დახმარება (მუხლი 16) – 40 000;

სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება (მუხლი 18) – 2 000;

ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში (მუხლი 17, 3 1, 2, 3, 4, 5,) – 86 700;

მიცვალბულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება (მუხლი 9) – 8 000;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება (მუხლი 8) – 10 000;

2008 წლის ავვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება (მუხლი 15) – 2 000;

ჩერნობილის ატომური ელექტროს-

ადგურის აფეთქებისას საღვებდაცოო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური დახმარება (მუხლი 11) – 5 000;

დაიღობის სახელმწიფო პროგრამის დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება (ტრანსპორტირებისათვის) (მუხლი 12) – 87 400;

დღე-მამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება (მუხლი 4) – 10 000;

ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტითა და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება (მუხლი 13) – 30 200;

წითელი ჯვრის თანადაფინანსება (სუბსიდიის სახით) (მუხლი 19) – 39 700;

სოციალურად დაუცველი მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა (მუხლი 20) – 6 000;

სტუდენტების დახმარება (მუხლი 3) – 20 000.

## საბავშვო ბაღებში სწავლას აახლებენ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლაში დაწესებული ბავშვთა გაერთიანებამ მიიღო გადაწყვეტილება, სააღმზრდელო პროცესი 23 იანვარს განაახლოს.

23-მა საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება 23 დეკემბერს შეწყვიტა და საშობაო არდადეგები გამოაცხადა. ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა საახალწლო კარნავალი, პატარები სკოლაში დაწესებულ ბავშვთა გაერთიანების ბიუჯეტიდან შეძენილი საჩუქრებით გაახარეს.

ხათუნა ახობაძე, სკოლაში დაწესებული ბავშვთა გაერთიანების დირექტორი: “2016 სააღმზრდელო წელი კარგად ჩავატარეთ. გვექონდა შესაბამისი პირობები პროცესის ნორმალური წარმართვისთვის. მასში იგულისხმება როგორც აღზრდა, ასევე კვების პრობლემების დროული და ხარისხიანი მიწოდება. ხელის შეშლა არ გვექონია ჩვენი აღსაზრდელების ნორმალური გათბობისათვის, ამასთან საბავშვო ბაღების სააღმზრდელო პროცესის წარმართვისთვის საჭირო რესურსის, სამეურნეო, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესაძენად. ჩვენი პატარებისთვის გული არ წელს დაგვიწყვეტია, ტკბილეული ლამაზი კალათებით გადავცეთ”.

“სამტრედიის მაცნეს” მკითხველისთვის ცნობილია, რომ სკოლაში დაწესებული ბავშვთა გაერთიანებამ დროულად გამოაცხადა ტენდერი, შეირჩა მომწოდებლები, მათთან ხელშეკრულებები დადებულია და საბავშვო ბაღები სრულ მზადყოფნაშია სასწავლო პროცესის განახლებისათვის.

6064 ნაწილაკები

## სადილი სოფაოღანი დაგვიანებით

6064 ნაწილაკები

18 იანვარს “სახლი თანადგომა” ჩვეულ საქმიანობას შეუდგა. ამ დღეს მომზადდა 2017 წლის პირველი კვირა უფასო სასადილოში, მოხდა სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე პურის გაცემაც.

როგორც წესია, ყოველი წლის ბოლოს რამდენიმე დღით ადრე წყდება უფასო სასადილოს ფუნქციონირება და ტენდერის დამთავრების შემდეგ ხდება მუშაობის განახლება.

“სახლი თანადგომა” ტენდერი 26

დეკემბერს გამოაცხადა ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე. მათგან დამოუკიდებელი მიზნების გამო 18 იანვრამდე ვერ მოხერხდა სასადილოს ფუნქციონირება.

მშვეინარ ბოხუა, “სახლი თანადგომას” დირექტორი: “უფასო სასადილოსა და პურის გაცემის პროცესების შეჩერება ყოველწლიურად იწყებს ჩვენი ბენეფიციარების გაღიზიანებას. არ მიმართავთ ქრისტიანულად შობა-ახალი წლის დღეებში სოციალურად დაუცველი ადამიანების უპუროდ და უსადილოდ დატოვება, თუკაც არ გვაქვს უფლება, კანონი

დავარდვიოთ. ამდენად, ჯერ ბიუჯეტის დამტკიცებას, შემდეგ ტენდერის გამოცხადებას ველოდებით. ეს უკანასკნელი დამთავრდა 17 იანვარს და მეორე დღესვე გაუხსნით სასადილო, ვასადილეთ 130 ბენეფიციარი. მიხარია, რომ შარშანდელთან შედარებით ერთი კვირით ადრე მოგვიწია ჩვენი სოციალურად დაუცველების დაკმაყოფილება”.

20 იანვარს “სახლი თანადგომამ” საშობაო ამანათები გადასცა 130 ბენეფიციარს. საჩუქრებში შედიოდა: ვაშლი, მანდარინი, კანფეტი და ლიმონათი.

## სამტრედიის მაჟორიტარმა დაპუტატმა ბატონმა ბია მიქელაძემ სიბჟვა საქმედ აქცია

მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს დეპუტატს, ბატონ ვია მიქელაძეს ახალგაზრდა დედის, ავადმყოფი ლანა გოგიშვილის მიმართ გაწეული დახმარებისათვის. ლანამ მისი დახმარებით შეძლო სამკურნალოდ თურქეთში გამგზავრება.

მადლობას ვუხდით აგრეთვე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის საქართველოს პარლამენტის წევრის ბიუროს ხელმძღვანელს, ქალბატონ თინათინ ხარძიანს გვერდში დგომისათვის.

გულიყო გოგიშვილი ფაზისის აჯადების წევრი, პედაგოგი

# მუვიდობიანი გეგმით წლები

## ნათია ნაცვლიძე

ტრადიციულ ქვეყნულ გამგებლის ნაძვის ხის ზეიმი ჩვენს მუნიციპალიტეტში წლებსაც გაიმართა. კულტურის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა უმასპინძლა. მოწვეულნი იყვნენ ბავშვები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და შშმ ბავშვები. ბავშვების ასაკი 3-დან 9 წლამდე განისაზღვრა.



სახეილო განწყობა პატარებს ქუთაისის გასართობი ცენტრის "cendy" წევრებმა კიდევ უფრო აუმაღლეს. სანტალაუსმა ქართული მჭერმეტყველებით დალოცა ბავშვები: "შვიდობიანი გემატოთ წლები, ღვინო ემატოს სოფლებს, ქალაქებს" და მულტიმედიის პერსონაჟები სათითაოდ მოიხმო დარბაზში. ელზა, გოჭი პეპა, შრეკი, მხიარული კუ ნინდა და სხვა პერსონაჟები პატარებს სხვადასხვა

სახის თამაშებს სთავაზობდნენ. ბავშვები მათთან ერთად შესანიშნავად გაერთვნენ. ერთობლივ სიმღერასა და ცეკვას ლექსების თქმაც მოჰყვა. წლებიანი ღონისძიება იმით

ამიანს, ვინც ასეთი ღამეში ღონისძიება მოაწყო, მოვითხვა გადმოცემა, ჩვენმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, მისი სახელითაც მოვილოცავთ ახალ წელს, ასეთი ღამეში დღეები მრავლად გქონოდეთ არა მარტო 2017, არამედ მომავალ წლებშიც." ღონისძიების წამყვანებმა კი, მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებობას, საერებულოს და კულტურის სამსახურს გადაუხადეს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავიშვილი:

"ღღეს განსაკუთრებულად ღამეში დღეა, ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ეს ბავშვები არიან ბედნიერები, მიველოცავ მათ, ღამეში, ბედნიერ მომავალს ვუსურვებ, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ღამეში ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, დაელოცავ არა მარტო ამ ბავშვებს, მთელი პლანეტის პატარებს".

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, თი-



ნათინ ხარბიანი: "ბატონი გია მიქელაძის სახელით ჩემს უსაყვარლეს სამტრედიელებს, ასე ვიტყვოდი, ჩვენს ამომრჩეველებს ვულოცავ 2017 წლის მობრძანებას, ხვავის, ბარაქ-

ოს, წარმართების წელი ყოფილიყოს, უღრუბლო ცა და ბედნიერი მომავალი ჰქონოდეთ პატარებს, დედა ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს სამტრედიელებს".

# აწა, მარჯო აწი აწიან ისინი

## ლიზა ნაცვლიძე

ხელფასიდან გამგებობის თანამშრომლებმა თანხა გაიღეს, საახალწლო ნუგბარი შეიძინეს და... აქ არავის უკვირს სტუმარი. 13 იანვარს, ძველით ახალ წელს ისევ ეწვივნენ სათნოების სახლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათთან ერთად იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, სამტ-

რედიის მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე მეუღლითურთ. ვიდრე მოხუცები დარბაზში იყრიდნენ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მისმა მოადგილემ ლიზა კრავიშვილმა, საერებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა, საერებულოს კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებმა დარბაზში ტკბილეული, ამ დღისთვის სპეციალურად მომზადებული ტორტი და კეთილი სურვილები შემოიტანეს.

გაზივით გვიდრენდა, დარბაზში საოცარი სითბო იყო, რომელსაც სულ სხვა ადამიანური სითბოც ერთვოდა, სითბო თანადგომისა, დაფასებისა, სიყვარულისა... სამპანური გაიხსნა, ჭიქები შეივსო და... "შობა-ახალ წელს გილოცავთ, მრავალს, ჯანმრთელად დაესწარით, გწამდეთ, ჩვენი ყურადღება არასოდეს მოგაკლდებათ", - მიეფერა მოხუცებს ვალერიანე ფოცხვერია და კეთილი სურვილები არც დამსწრე-



რედიის მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე მეუღლითურთ. ვიდრე მოხუცები დარბაზში იყრიდნენ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მისმა მოადგილემ ლიზა კრავიშვილმა, საერებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა, საერებულოს კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებმა დარბაზში ტკბილეული, ამ დღისთვის სპეციალურად მომზადებული ტორტი და კეთილი სურვილები შემოიტანეს. იმის მიუხედავად, რომ გარედან დეკემბრის სუსხი მგზობის ავი ნა-

თათვის დაუშურებია, მანვე მადლობა უთხრა სათნოების სახლის თანამშრომლებს ბენეფიციართათვის გაწეული სამსახურისათვის. "ბედნიერი ყოფილიყოს ახალი 2017 წელი თქვენთვის, ყოველი სამტრედიელისათვის, სრულიად საქართველოსათვის. მინდა, კიდევ ერთხელ გითხრათ, რომ მიმდინარე წელი მნიშვნელოვანი, სასიყვარულო ცვლილებების წელი იქნება, მრავალს დაესწარით". - როგორც ყოველთვის ამჯერადაც გულწრფელი იყო პარლამენტარი გრიგოლ მიქელაძე. მოხუცებს, მათზე მზრუნველ ადამიანებს ბედნიერი ახალი წელი სა-

ერებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა, გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავიშვილმა, საერებულოს კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ, გამგებლის წარმომადგენელმა ქალაქ სამტრედიის თინგიზ ცაგურამ და სხვებმაც მიულოცეს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ტატა გოგუაძე) ფოლკლორულმა ანსამბლმა მერი ტკვაცირიას ხელმძღვანელობით ხალხური ჰანგებით დაატკბო მოხუც-



უმარ-მასპინძლის დამშვიდობება. არა, სამღერავი რა სახსენებელია, პირიქით ბევრი შეიძლება დაიწეროს იმ სითბოსა და სიყვარულზე, მუნიციპალიტეტის თავკაცები, სათნოების სახლს აღმინისტრაცია, თანამშრომლები რომ იჩენენ ბენეფ-

იციართა მიმართ, მაგრამ... სახლის მიმდებარე ტერიტორიას, ანუ სათნოების სახლის ეზოს ნამდვილად სჭირდება მზრუნველი ხელი. არ იქნება ურიგო აქ დეკორატიული მცენარეების გაშენება.

# ნინოებს გილოცავთ!

ლევან გაბაჩავა

წმინდა ნინოს მამას ზაბულონი, დედას სუსანა ერქვა. თორმეტი წლისა იყო ნინო, როცა მამამისი ბერად შედგა, ხოლო დედა მონაზონად. ნინო ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა მიხაბარა გასაზრდელად ერთ ღვთისწიერ მოხუც დედაკაცს, რომელიც იერუსალიმში ქრისტეს საფლავს ემსახურებოდა.

სწუხდა წმინდა ნინო იმის გამო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს კვართი იყო, ისეთი ხალხი ცხოვრობდა, რომელთაც არ სწამდათ ქრისტეს. ამიტომ მოინდომა იმ ხალხის – ქართველების გაქრისტიანება.

ბევრი წვალების შემდეგ ღვთისმშობლისგან გამხსნელებული წმინდა ნინო მისივე თმებით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში მოვიდა მამინდელ ჩვენს დედაქალაქ მცხეთაში, სადაც ნინომ მირიან მეფის მეხადის ცოლს ანასტასიას შეეხიზნა, რომელიც უშვილო იყო და ნინოს ვედრებით ეზიარა მშობლობის მადლს.

სამი წლის განმავლობაში წმინდა ნინომ მრავალი ავაღმყოფი განკურნა, ბევრი გააქრისტიანა. დიდი დრო არ გასულა და მეფე მირიანი და დედოფალიც გაქრისტიანდნენ. შემდეგ კი ხალხიც მოინათლა. ეს მოხდა 328 წელს.

რადგან ქართველები წმინდა ნინოს მადლით მოინათლა, გაქრისტიანდა მას “ქართველთა განმანათლებელს” უწოდებენ.

გაქრისტიანების შემდეგ მირიან მეფემ მრავალი საყდარი ააგო ხალხის სალოცავად, სადაც მლოცველთა ტევა არ იყო.

სოფელ ბოლბეში 67 წლისა აღესრულა მოციქულთასწორი წმინდანი, მისივე ანდერძის თანახმად იგი ბოლბეშივე დაასაფლავეს.

ნინოს ვაზის ჯვარი კი, ჯერ ბოლბეში იყო შემდეგ სიონის ტაძარში მიიტანეს და ეხლაც იქ ასვენია. ნინოობას აღნიშნავს 27 იანვარს ეკლესია. გილოცავთ!



# საბა კაცაძე – ინტელექტუალთა გუნდის აღმორჩენა

ნათია ნაცვლიძე

**მე-3 საჯარო სკოლის მეთორმეტკლასიელ საბა კაცაძეს მუნიციპალური ბიბლიოთეკაშიც ხშირად ნახავთ და ინტელექტუალურ შეხვედრებზეც. ერთი წელია, მან სამტრედიის ინტელექტუალებში დაიბეჭდა ადგილი. არის ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტელექტუალთა გუნდ “ინტერსტელარის” წევრი. წარმატებული ახალგაზრდა, გასულ წელს გამართულ ითანე და თემურ ვაშაყიძეების მემორიალზე, თამაშისათვის “ჯეპარდი” გუნდის წევრ ლაშა ორმოცაძისთან ერთად კითხვების ავტორად მიგვევლინა. ინტელექტუალების ისტორიაში ეს პირველი მრეცენდენტია. წარმატებული ახალგაზრდა იუმორის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. უფრო ახლოს გასაცნობად და თავის მომავალ გეგმებზე სასაუბროდ საბა რედაქციაში გვეწვია.**

რადგან ნიჭიერი ახალგაზრდას თავის თავზე საუბარი ენდობება, მას უფროსი მეგობარი, “ინტერსტელარის” წევრი, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის

წამყვანი სპეციალისტი, ლაშა ლორია ახსიათებს: “2015 წლის დეკემბერში გამართულ სამტრედიის ღია ჩემპიონატში, მესამე სკოლის გუნდმა “იპრიტი” მოიგო თამაში “ბრენ რინგი”. საბამ თავისი გამორჩეული თამაშით მაღალი ინტერესი გამოიწვია და ჩვენი ყურადღება მიიპყრო. მეც მან სიარული დაიწყო “ინტერსტელარის” ვარჯიშებზე. ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ინტერსტელარის კაპიტან, გიორგი ჩაჩუას მხვილ მწერას არ გამოპარვია. საბამ ერთი წელია, კლუბში ადგილი დაიკავებდა და მონაწილეობს გასვლით თამაშებში. 2016 წლის ღია ჩემპიონატზე, ითანე და თემურ ვაშაყიძეების მემორიალზე გამოდიოდა გუნდ “კორინთის” რიგებში, რომლის კაპიტანიც გახლდით. ამ გუნდმა “ბრენ რინგი” მოიგო, ხოლო, თამაშში “რა? სად? როდის?” მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენ კვირაობით დავდივართ ქუთაისში, სადაც იმართება იმერეთის ჩემპიონატი თამაშებში “რა? სად? როდის?” და “ჯეპარდი”, სადაც მთამაშეობს მონაცვლობით უწევთ “ჯეპარდისათვის” შეკითხვების დაწერა. ერთ დღესაც საბას მოუწია კითხვების მომზადება. ვინაიდან მისმა კითხვებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, გადაწყდა, ითანე და თემურ ვაშაყიძეების მემორიალზე “ჯეპარდის” კითხვების პაკეტის თანაავტორი ისიც ყოფილიყო. მან 120 კითხვა მოამზადა.”

დავინტერესდით, როგორ იცავს ჩვენი რესპონდენტი ბალანსს კომპიუტერსა და წიგნებს შორის და ანიჭებს თუ არა განსაკუთრებულ უპირატესობას რომელიმე მათგანს. საბა გვპასუხობს: “მიუხედავად იმისა, კომპიუტერით ინფორმაციებს ხშირად ვეცნობი, ვცდილობ, ჩემი შემეცნების არეალი მარტო ამით არ შემოიფარგლოს, ხშირად ვეცნობი მხატვრულ ლიტერატურას, სახლში დიდი ბიბლიოთეკა მაქვს, თანამედროვე მწერლებზე უფრო მეტად ქართველ და უცხოელ კლასიკოსებს ვეცნობი, განსაკუთრებულად მიყვარს აგათა კრისტი, ქართველ მწერლებს რაც შეეხება, ძნელია, ვინმე შეადარო გურამ დოჩინაშვილს. მომწონს თანამედროვე ამერიკელი მწერალი სტივენ კინგი. ბოლოს პარპერ ლის “ნუ მოკლავ ჯაფარას” წაეკითხე.”

საბა იუმორის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. გასულ წელს სამტრედიის ჩემპიონატში “მანსანკანი” საუკეთესო მთამაშის ნომინაციაში გაიმარჯვა.

“ინტერსტელარის” წევრი გიორგი ცაგარეიშვილი საბას ასე ახასიათებს: “საბა დიდი ინტელექტუალური რესურსის მქონეა, არის კარგი მეგობარი, აქვს იუმორის დიდი გრძობა, რაც თავისთავად მის მაღალ ინტელექტს ადასტურებს.”

სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის კაპიტანი, გიორგი ჩაჩუა: “სამტრედი-

ის ინტელექტუალების ამოცანას წარმოადგენს ნიჭიერი, ერთდროული ახალგაზრდების აღმოჩენა, მათი კლუბში გაწევრიანება და ინტელექტუალური თამაშებისადმი სიყვარულის შთაგონება.

ვცდილობთ, ამ ტრადიციას არ გადაუხვიოთ, ერთმანეთის გვერდით ვართ ფაქტიურად სამი თაობის ინტელექტუალები, კლუბის “უხუცესი” – ზანა ადიშვილი დაწვეული, სკოლის მოსწავლეებით დამთავრებული.

შემიძლია ვთქვათ, რომ ინტელექტუალებმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით, გასულ 2016 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, ჩვენი გუნდი თამაშობს სუპერლიგაში, მონაწილეობს მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო ინტელექტუალურ ტურნირში და აგრეთვე, რაც ყველაზე მთავარია, გასულ წელს რამდენიმე ახალგაზრდაც შემოუერთდა კლუბს, მათ შორის გამოყოფილი სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეს – საბა კაცაძეს, რომელმაც მიუხედავად ასაკისა, უკვე მოახერხა საკუთარი ერუდიციის წარმოჩენა, ის არა მარტო კითხვების გამოცნობაში ოსტატდება, არამედ ძალიან საინტერესო შეკითხვების ავტორადაც გვევლინება, სულ ახლახან დასრულდა სამტრედიის მუნიციპალური მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში, რომლის კ-



თხვების ერთ-ერთი თანაავტორიც სწორედ საბა კაცაძე გახლდათ და მისმა შედგენილმა კითხვებმა მონაწილეებს შორის კარგი გამოხმაურება მიიღო. დარწმუნებული ვარ, საბა კვლავ გააგრძელებს ინტელექტის ამაღლებას და ცოდნის შექმნას. ბოლოს მინდა მოუწოდო ყველა სკოლის მოსწავლეს და ზოგადად დაინტერესებულ ადამიანებს, შემოუერთდნენ ჩვენ ინტელექტუალურ კლუბს, ამით ისინი ორმაგად მოგებულნი დარჩებიან, შეიძენენ ახალ მეგობრებს, აიმაღლებენ ცოდნას და უბრალოდ თამაშებენ ამ საინტერესო ინტელექტუალურ თამაშებს, რომელმაც მრავალი ცნობილი სახე თუ პოლიტიკური ფიგურა შესძინა საქართველოს.

# “ლაგზანდო” სახსარდნლო ზეიმი

ნათია ნაცვლიძე

**განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ სამტრედიის შშმ ბავშვთა დღის ცენტრ “ლაგზანდო” სახსარდნლო ზეიმიზე მიგვიპატიჟებს. დღესდღეობით აქ 16 ბენეფიციარია. ამ სახლის პედაგოგთა მზრუნველობა და სიყვარული პატარებს უდიდეს სტიმულს სძენს. “ლაგზანდო” არა მარტო ადგილზე ჩატარებული ღონისძიებებით გამოირჩევა, ბავშვები აქტიურად ერთვებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ ბევრ ღონისძიებაშიც.**

სამტრედიის ფარგლებს გარეთაც იცნობენ “ლაგზანდოს” ბინადართა ნამუშევრებს, პედაგოგ შუქია თვალაბეიშვილის დახმარებით პატარებმა ისე განავითარ-

ეს ბაბით ხატვის ხელოვნება, არაერთი ქართული ზღაპარი ბაბით შესრულებული ნახატებით გააცოცხლეს. ამ

ნახატების გამოფენის შემდეგ სტუმრები კონცერტზე მიგვიწვიეს. “ლაგზანდო” არაერთ ღონისძიებას დაესწრებოდა და არც გაგვიკვირვებია მათი აქტიურობა, პატარებმა შესანიშნავად იმღერეს ქართული სიმღერები, შეასრულეს

ფრანგული სიმღერაც, არც ოსური და აჭარული ცეკვები დავეწვინათ, არც საახალწლო ლექსები და ეროვნული ჰიმნი. საინტერესო ნახევარსაათიანი პროგრამა წარმოადგინეს და თოვლის ბაბუამაც გული არ დაწვივდა პატარებს, ტკბილეულით დაასაჩუქრა. ბავშვების პედაგოგი ნათია გოგონაძეა, აღმზრდელის ასისტენტები სუქია ძნელაძე და შუქია თვალაბეიშვილი არიან, მუსიკას კი ხათუნა გოგია ასწავლის. აქაურთა თქმით, სულ ახლახან სამტრედიის მაკორითარი დეპუტატის სტუმრობისას გადაწყდა, რომ ახალი წლიდან დაფინანსდება მუსიკის პედაგოგის საქმიანობა. ისინი დეპუტატს მადლობას უხდებიან.

ღონისძიების ბოლოს განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის

დღის ცენტრების პროგრამის კოორდინატორმა, ხათუნა ცანავამ განაცხადა: “განსაკუთრებით სასიხარულოა დღეს ამდენი პატარა სტუმრის ხილვა, თანატოლთა ერთად ყოფნას აქვს დიდი მნიშვნელობა, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აქტიურობენ მშობლები, რომ არა მათი სათანადო მზრუნველობა, არ იქნებოდა დღის ცენტრის მუშაობა ასეთი ეფექტური. ჩვენ ვეშხადებით პარლამენტში სტუმრობისათვის, ყოველთვის ვგრძნობთ თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხარდაჭერას, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს მაკორითარი დეპუტატის ბიუროსთან, ყველაზე დიდი მადლობა კი მინდა ვუთხრა აღმზრდელს ასეთი ერთგულებისა და ენერგიული საქმიანობისათვის.”

დღის ცენტრის მეზობლად პირველი საბავშვო ბაღი მდებარეობს, ამ ორ დაწესებულებას შორის ახლო ურთიერთ-



ობაა. შეკრებილი ასევე მიესალმა ბაღის მმართველი მარინა შენგელია: “ზოგიერთი ამ ბავშვებიდან ჩვენი ბაღის აღსაზრდელი იყო, ახლა ისინი დღის ცენტრში არიან, მინდა მათ შობა- ახალი წელი მივულოცო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო.”

# ჩემი წარსულის არ მწყხვნი

ნათია ნაცვლიძე

**ჩვენს რუბრიკას მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ტოლემის თემში აღექის ბოცვაძე სტუმრობს, ჩვენი რესპონდენტი სრულიად ახალგაზრდა იყო, სამშობლოს დასაცავად ხელში იარაღი რომ აიღო. იგი ქართველთა ურთიერთდაპირისპირების უმძიმეს შედეგებზე გულისტკივილით საუბრობს. რუბრიკის თითოეული რესპონდენტის მონაცემი მსგავსია, ამ ისტორიებს დღემდე გაუნელლებელი ტკივილი აერთიანებს – ძმათაშვილები იმნი, იგი კვლავ პირშეუკრაფ იარაღ რჩება. რუბრიკის მიზანიც სწორედ ისაა, ადამიანებმა კიდევ უფრო მეტად გააანალიზონ წარსულში საქართველოში დაშვებული შეცდომები, რათა არასოდეს დაუშვან კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და ძმათაშვილები იმის პრეცედენტი.**



– ბატონო ალექსი, როგორ აღმოჩნდით ეროვნული მოძრაობის სათავეებთან?

– მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, ორჯონიკიძეში ახლანდელ ვლადიკავკაზში, სამთო გეოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, საქართველოში ეროვნული მოძრაობა რომ ავიზიზიდა. ნოემბრის აქციებში ჩავერთე. 1989 წლის 9 აპრილის მერე ისეთი ვითარება იყო, მეგონა მთელი ქვეყანა ეროვნული სულიკვებით იყო განმსჭვალული, ჩვენ უკვე ქართველ სტუდენტებს, როგორც დამოუკიდებლობის მოსურნეებს, ცული თვალთ გვიყურებდნენ. სამტრედიის ყოფილი პარტის ტერიტორიაზე ერთ-ერთ შიმშილობის აქციას 9 აპრილის მერე შევეუერთდი. ჩემი სოფლიდან ჩამოსული ბიჭები ფეხბურთის მატჩს დავესწარი, არ ვიცი რატომ, იმ საღამოს აქციის მერე პოლიციამ დაიჭირა ხუტა ბურძღა, ჩვენ შევიკრიბეთ პოლიციასთან მისი გათავისუფლების მოთხოვნით, იმ საღამოს დედის ძეგლთან დაიწყო შეკრებები და საპროტესტო აქციები, მაშინ დაუახლოვდი ზვიად ძიძიგურს, “მრგვალი მაგიდა” და “წმინდა ილია მართლის საზოგადოება” რომ ჩამოყალიბდა, მამინევი გავეწვრიანდი. მანდატი თუ მჭერია ხელში, ეს წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაა.

– თქვენ იყავით ეროვნული გვარდიის რიგებშიც და სამშობლოს დასაცავად იარაღიც გეჭირათ, იმ წლებს როგორ იხსენებთ?

– ეროვნული ხელისუფლება რომ მოვიდა, ზვიად ძიძიგურს უნდოდა, გვერდით სანდო ხალხი დაეყენებინა, პოლიციაში მუშაობა შემომთავაზა, ამასობაში მალე ეროვნული გვარდია ჩამოყალიბდა და მეც გვარდიის რიგებში რიგით ჯარისკაცად შევედი. გვარდიაში წასვლამდე ორჯერ ვიყავი სამაჩაბლოში, “მრგვალი მაგიდასთან” ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი, სწორედ ამ რაზმში ვიყავით ახალგაზრდები, რომლებიც წავედით სამაჩაბლოში, სიმშვიდის დასაცავად ქვემო და ზემო ნიქოში ვაპარტილიყავით. გემასობრებათ, პოლიციელები ტარებულ კობალეიში და სევერიანე თევზაძე დაიღუნენ მაშინ. ჩვენი რიგებიდან ხელში დაიჭრა სულიკო ჭკუასელი, ჩვენ და სამტრედიელ პოლიციელებს ერთად გვიწვედა პატრულირება.

24-ე ბატალიონში პირველად ოცეულის მეთაური ვიყავი, მერე ასეულის. იმ წლებს საამაყით ვიხსენებ, იყო საოცარი დისციპლინა, წესრიგი. კულამის ზოლოვტეტქნიკუმის შენობაში იმყოფებოდა ბატალიონი. ის წელიწადნახევარი ჩემი ცხოვრების საოცარი პერიოდაა. ეროვნული გვარდიის სარდალი კიტოვანი იყო, ჩვენს ბატალიონს თამაზ ესებუა ხელმძღვანელობდა. მერე გვარდიაში განხეთქილება მოხდა, ფაქტია არ აწყობდათ ეროვნული ძალები. წლები გავიდა და ბევრი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია, ჩვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც არავისთვის მიუცია საარჩევნოდ ქრთამი, არ უწარმოებია არავითარი პიარ-კამპანია, ისე აირჩია ქართველმა ხალხმა, დაამხეს... გვარდია გაიყო, კიტოვანს ნაწილი კონში გაეყო, პრეზიდენტის ერთგული ჯარისკაცების ნაწილს კი ქობალა ჩაუდგა სათავეში. ზვიად რომ დაამხეს, სამტრედა სრულმა ქაოსმა მოიცვა, გვიწოდებდა, აგვეცილებინა ქალაქში დაპირისპირება-შეტაკება. 1992 წლის დასაწყისში მხედრობი პირველად სამტრედიის 18 იანვრის დამეს შემოვიდა, ზვიად ძიძიგურმა შეუთვალა: ვტოვებთ ქალაქს და გავდივართ, ოღონდ სამტრედიის სისხლი არ დაიღვაროს, თოფი არ გავარდესო, მაინც არ აგვეცდა სროლა და სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ნათლისღებას ჩემი უფროსი შვილი დაიბადა, მასსოვს, ქალაქში სამხედრო სურათი იყო, ჩემს ქვეყანას არასოდეს ვუსურვებ იმ სურათის განმეორებას. მხედრობები ტაქსებში იყვნენ, საბარგულში ტყვიამფრქვევებით იჯდნენ, ქალაქი ქალაქს არ გავდა, მე და ცხოვრებული სულიყო აღფრთოვნი და აუგარდაცვლილი ჩვენი თანამებრძოლი ვალერი მარტინოვი გამოვიდით ღამით ბატალიონის შენობიდან, მანქანა “ურალი” დედის ძეგლთან გაეაჩერეთ, რადგან ჩვენი ბენზინში იქვე ეზოში ეყენა, გვსურდა მისი ნაწილში გადავყანა. მთელი ახალი წლის განმავლობაში ჩაბნელებული ქალაქი, მასსოვს პირველად იმ დამეს განათდა და ატყდა კიდევ სროლა. ჩვენი გამოჩენა არ შეიძლებოდა, შეიძლება ვინმეს ეცემე, ტყვია უაზროდ ესროლა. რკინიგზაზე გადავდით და ყანა-ყანა ვიარეთ, ბათუმში მეუღლე უნდა წამეყვანა სამშობლიაროში, ე.წ. სამხედრო ბუმლატი რომ გამომეცვალა, მაშინდასთან მიხლოდა მისვლა, მერე ბატალიონში დაბრუნება. მაშინდასვიდამ მითხრა, შენი მეუღლე სამშობლიაროშიაო, ამიტომ ჩამოვმორდი ჩემს მეგობ-

რებს. ამის მერე ისევ დაფრუდა ქალაქი, ბატალიონში იქ რა ქონებაც იყო, განადგურდა. ინფრასტრუქტურა მოიშალა. მერე ჩვენ იქ არ შევსულვართ. ბატალიონის წევრები პარტიზანულად ვხვდებოდით ერთმანეთს, ეროვნული ხელისუფლების აღდგენის მცდელობა მუდამ გვექონდა, 1993 წლის მარტიდან კი ბატალიონი ძალებს იკრებს... სახლში მომავითხეს მეგობრებმა. სოფლური ცხოვრებით ვცხოვრობდი, ქალაქშიც არ გამოვდიოდი, პროვოკაციებს ვერიდებოდი. ისე, შემძებლა გითხრათ არავისთან, არცერთ მხედრობელთან არ მომსვლია კონფლიქტი. მარტში სამეგრელოში, ანაკლიაში შევიკრიბეთ, იქ იყო გურია-იმერეთის პოლიკო, სოსო ფლენტი იყო პოლიკის მეთაური, მის შემადგენლობაში შევიდა ჩვენი ბატალიონიც, მაშინ გახდა ბატალიონის მეთაური სულიკო ალაფაძე. მერე გადავდით აფხაზეთში, მოგვიწია ბრძოლები ტამიშთან, ლაბრასთან. ძირითადად ოჩაჩირეში, აჩიგვარაში ვიყავით, ბედის ციხის ნანგრევების მდამოებში გვიწვედა პოზიციური ბრძოლები. ტამიშთან დაგველუპა საწყალი კირილე რევიშვილი და საერთოდ უკვალოდ გაქრა მერაბ ბუაძე. ამ პოზიციური ომების პერიოდში პირდაპირ ვუყურებდით ტყვარჩელს, ჩემი ოცნება იყო ტყვარჩელში ასვლა, იქ ჩემი ბაბუას ბიძაშვილი ჟორა ბოცვაძე მსხტის უფროსი იყო, 25 წლის ბიჭს მსურდა იქ ასვლა და ქართული დროშის აფრიალება, მაგრამ დიდი, დანაღმული ტყე უნდა გაგვევლო, მოვითხოვეთ ვერტმფრენი “კრავილი”, რომლითაც შეგვეძლო აფეთქება გაგვეხორციელებოდა. შევარდნაძის ყურადღებაც მივიდა, ზვიადისტები ამას აპირებდნენ. 1993 წლის 14 ივლისს გასცა ბრძანება მან ყველა შენაერთი გასულიყო აფხაზეთიდან და შემოსულიყვნენ რუსი სამშვიდობოები. ჯარისკაცები ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებას დავემორჩილეთ. მაინც მგონია, ჩვენი, ზვიადისტების აფხაზეთში შეყვანის მიზანი იყო ჩვენი განადგურება. ამაში იქ დავრწმუნდი, აფხაზეთიდან რომ გამოვიდით და ანაკლიაში ჩავედით, საღამო ხანს მოვიდა ამბავი, “მხედრობი” სამტრედიიდან სენაკშია შემოსული. გათვლილი იყო ჩვენი მისვლა ენგურის ხიდიდან, აქ ზვიადისტების გამოჩენისთანავე “მხედრობი” სროლას დაიწყებდა და ხილზე არ გადმოვივსებოდა, ოჩაჩირიდან კი აფხაზეთის შენაერთი მოგაკეცვდა ალყაში, აქ “მხედრობი” იყო მობილიზებული, სამტრედიის იჯდა ჯაბა, ჰქონდა შტაბი, ერთი მიზანი ჰქონდათ, როგორ გაენადგურებინათ ეროვნული ძალა. მო-

ხდა ისე, დიდება უფალს, ვისაც სამშობლო უყვარს, მას არ გასწირავს, გამოვასწარი. მხედრობი უკვე სენაკში იყო შესული, ეს სამოქალაქო ომის დასაწყისი იყო. სენაკში მდინარე ცივის გამოძმა, კურორტ მენჯთან ჩვენ და ელიავას სენაკის ბატალიონი დავბანაკდით, პოლიკო თითქმის აქ იყო. აქ 10 დღე ვიყავით, მდინარის გადაღმა მხედრობი იყო. მასსოვს, ამ ხილზე ჩვენს პოსტთან უშიშროების უფროსის, იგორ გიორგაძის საცეცხლი-მშურების ჯარის რამდენიმე წარმომადგენელი ბეტერით მოვიდა, გზა შეშლიათ. ისინი განვაიარაღეთ, რა თქმა უნდა, მათ თან ახლდა ხობის გამგებელი. ჩვენზე, ზვიადისტებზე ხანდახან რომ ახსურდნენ ამბებს ჰყვებიან, სულ ვიხსენებ ამ ეპიზოდს. ვასადილეთ ჩვენი მოწინააღმდეგეები და გავუშვით. რომ მისულან, უთქვამთ, რატომ ამბობენ ამ ხალხზე კაციჭამიები არიან, პატივი გეცეს და გამოგვაცილესო. ამბავი მივიდა, ის ხალხი იგორმა დაითხოვა. ამის მერე 1993 წელს სენაკში მყოფმა პოლიკის მეთაურს ვთხოვე, გამოვეშვი, რადგან შემატყობინეს ოჯახიდან, ბავშვი ცულად არიხო. ეს იყო და ეს, მას მერე სამოქალაქო ომში მონაწილეობა არ მიმიღია, ბედნიერი კაცი ვარ, ქართველისათვის იარაღი რომ არ მისვრია. ეროვნული ძალები რომ შემოვიდნენ სამტრედიასა და ხონში, მე მათთან არ ვყოფილვარ... ამ ამბებს ავცდი.

– ისევე როგორც ბევრი სხვა პატრიოტი, ვერც თქვენ ასცდით თანამომქმთა დაღატომი დადანაშაულებას...

– 1993 წლის დეკემბერია, სამოქალაქო ომი უკვე დამთავრებული იყო, “მხედრობი” გიზიზნებდა, სრული განუკითხობა იყო... ოჯახში შეკრებილნი, ერთდღერით შე-თერთ ტელევიზორს მივჩერებდით, ერთი სათვალეებიანი ახალგაზრდა ყვება: “ზვიადისტებმა” დამიჭირეს და წამიყვანეს, კატერზე გამომაბეს, ზღვაში მათრიეს, სპირალზე შემავრთეს, მხედველობა დამკარგინესო.

– “მხედრობი” იყო?

– ღმერთმა იცის, რომელი ბანაკიდან იყო, ფორმით დადიოდა. ერთხელ შევარდნაძის მომხრეებმა დაიჭირეს, ჩვენებს ვიღაც პოლიკონი ვაფლათ დაჭერილი და მასში გაცვალებს... პოდა, ჟურნალისტი ეკითხება, ვინ იყვენ ის ზვიადისტები და ისიც პასუხობს: ალიკო ბოცვაძე, მალხაზ ბენდელიანი, რამაზ ჯინჭველიშვილი და ზვიად და კობა ძიძიგურებიო, დღეს ის ადამიანი ცოცხალი არაა... უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდი, 80 წლის ბებია გაციფრებულია შემომხე-

და და ენა ჩამივარდა, უდანაშაულობას უმტკიცებ ოჯახს, რომელსაც შენი სჯერა! ჩემი მეზობელი გამოვიდა და ამბობს: ა, შეხედეთ თქვენი პატრიოტი ბიჭი თურმე ხალხს როგორ აწამებდაო, არადა მე-6 კლასში რომ წავიყვანეს ექსკურსიანზე პალიასტომზე, კატერი მას მერე არ მინახავს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ გადავიტანეთ, ჩემი ახალგაზრდული წლები სამშობლოსათვის ბრძოლაში გავლიე, გავეყეთ თუ არა რაიმე, ეს მომავალში გამოჩნდება. კმაყოფილი ვარ მაინც რომ ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძოდი. ტელევიზიამ გადასცა სამტრედიის რომ დაეყვანეს ზვიადისტებმა, ზვიად ძიძიგური და სოსო ჟღერტი და მისი მეგობრები საყორნიის მთებში იმალეობანო, მე მაინცდამაინც იმ დღეს არ დაუხვდები, ბიძასთან, ვანში ვიმყოფებოდი, მეორე დღეს ჩვენი ბიჭები ხონში იყვნენ. მერე მათ ვერ შევეუერთდი, საყორნიის მთებში ყოფნის პერიოდში უკითხავად ამ ბიჭებს ხილი არ მოუწვევიათ, ზაფხული იყო და სკოლის შენობაში იყვნენ.

– თქვენ შეხვედრიხართ ექს-პრეზიდენტსაც, როგორ გაიხსენებთ მასთან შეხვედრებს?

– ზვიადს სამტრედიისშიც შეხვედრიხართ, თბილისში დინამოს სტადიონზე გრანდიოზული წინასაარჩევნო მიტინგი რომ ჩატარდა და პრეზიდენტი ხელში აიყვანეს, იქ ვიყავი. მერე იქიდან წამოსულები უშიშროების შენობასთან აღმოჩნდით, ამ წინასაარჩევნო მიტინგის შემდეგ წმინდა ილია მართლის საზოგადოების ალიკონის უდანაშაულო წევრი დაიჭირეს და საპროტესტო აქცია ჯერ მთავრობის სახლთან ჩავატარეთ, მერე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გადმოვიყვანეთ, მაშინ შსს-სა და უშიშროების სამსახური ერთმანეთის მახლობლად მდებარეობდა და ზვიადი ჩვენს გვერდით იყო. გვარდია რომ გაიყო და ნაწილი კონში წაიყვანა და სამტრედიის ბატალიონი პატრულირებას მთავრობის სასახლესთან, უზენაესი საბჭოს შენობასთან ვახორციელებდით, გარეთ საინფორმაციო მიტინგები ტარდებოდა, პრეზიდენტის დამხობამდე დაახლოებით თვენახევრის წინ. მასსოვს ერთხელ გამოთინისას გვესროლეს, მთავრობის ოპოზიციის რიგებიდან, მარმარილოს ფანტანთან, მასსოვს გამოვიდა პრეზიდენტი, თურმე ის დამე კაბინეტში გაუთვია, და გვეუბნება: შეილუბო, არ ისროლოთო, პრეზიდენტი აი ასეთი დამამასსოვრდა.

– არადა, მისმა ოპონენტებმა ამ ფრანხის გამო ჩვენ ტყვიებს გვესვრიან და ვვაილები ვესროლოთო, მწარედ გააკრიტიკეს...

– მე მგონია, მაგ ფრანხით გაუკვლავდა ზვიადი. ზოგს რომ რცხვენია აღიარება ამა და ამ დაჯგუფების წევრი ვიყავი, მე არ მრცხვენია, ზვიადისტობა ჩემთვის საამაყო... მერე უკვე პრეზიდენტი რომ ბუნებრივად შევიდა, იქ არ ვყოფილვარ. მაშინ ვეფხვია წიქვამე დაგველუპა, ის ჯავშანტრანსპორტიორს მართავდა და კიტოვანის მომხრე გვარდიელებმა ესროლეს ბავშვთა სამყაროს ტერიტორიაზე, თუღორე ჯანელიძე, რომელიც გვარდიის საფინანსო საქმეებს განაგებდა, ტანში ჩაიწვა, რომელიც ააფეთქეს. ენით აუწერელია ის ტკივილი, ღმერთმა დაგვიფაროს ქვეყანაში ძმათა შორის დაპირისპირებისაგან. გვიყვარდეს ქართველებს ერთმანეთი და თოფი მხოლოდ მეტობების აღსანიშნავად გავარდეს.

ძველი რას ხეობები

იმაზე მეტი "ვლასტი" მქონდა კომპანიაში მდივნობისას, ვიდრე დღეს გაგებლავს აქვთ!

თბილისი გაზეთი

„ძველი რას ხეობები“ კარგად ხის მრეწველობის მრეწველობის უმრავლესობას წარმოადგენს. თუმცა, ვლასტი... რიგობს განსწავლულნი არიან, ამიტომაც მას წარმატებით... რიგობს განსწავლულნი არიან, ამიტომაც მას წარმატებით...

მისი პირველი სტუმარი მერაბ სტურუაა, აწ უკვე ყოფილი გამგებელი, რომელიც სამტრედიული მედიის სიყვარულით გამგებლობის პერიოდშიც სარგებლობდა. მასთან კეთილგანწყობა დღემდე გრძელდება, რადგან ბატონმა მერაბმა იცის მედიის ფასი, რაც ჟურნალისტებთან მის სწორ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ამ და საერთოდ, მისი ადამიანებისადმი დამოკიდებულების მთავარი ნიშა, მაინც რესპონდენტის შინაგანი კულტურა და ინტელექტია.

ამჯერად მერაბ სტურუა თავად შეაფასებს საკუთარ თავს რაიონის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. მოგესხნებათ, იგი არაერთ საპასუხისმგებლო პოსტს იკავებდა, კომპანიაშიდან მოყოლებულს და გამგებლობით დასრულებულს.

დანარჩენი ინტერვიუში!

საუბარი იმ დროის ყველაზე მტკიცე პირობებით დაიწყო, სამტრედიის იმ დროისთვის, ქვეყნის მასშტაბით ცნობილი ანთიპულის ნათურით რომ გახდა...

...ჩვენს დროს ტელევიზორები იწყებოდა ასე, მოგესალმებით ძვირფასო სამტრედიელეო, რადგან შუქი მართლ სამტრედიის იყო...

ეს თქვენს დროს თუ ნოდარ ძეგლის დროს იყო ასე..

მერე მიქია ამა ხალხი და ცოტა შემდგომ პერიოდში ლიანდაგს ხშირად კეტავდნენ. შუქი მათ შორის უმთავრესი გახლდათ. პრივილეგიები უფრო იყო მე-15, საავადმყოფოს მიეწოდებოდა დენი ამ ფიდერით და იქ რომ დაინახავდნენ ანთიპულს, მიდიდნენ პირდაპირ სადგურში. ლიანდაგის გადაკეტვაში განსაკუთრებით საგვანობოები აქტიურობდნენ. აქეთ რეინგების ხელმძღვანელობა რეკავდა, გვიშველე, ათათასობით ზარალს ვიღებთო. მე და მაშინდელი სხვა პასუხისმგებელი პირები მივიდით, ვეწვევოდით, ვემუდარებოდით, ბებია, დედა, ბიძა... დროებით დავშლიდით!

მეორე უდიდესი პრობლემა საპენსიო პრობლემა გახლდათ. ისევე როგორც ელექტროენერჯის საკითხი, არც ეს იყო ადვილობრივი დონეზე გადასაწყვეტი, მაგრამ უპენსიოდ დარჩენილ ადამიანებს ეს ნაკლებად აღარდებდათ. მაშინ არსებობდა სახელმწიფო ფონდი, რომელიც თითოეული რაიონიდან გარკვეული თანხით ივსებოდა და პენსიები ამ შენატანებით რიგდებოდა. სამტრედიის რეინგებიდან მოგების გადასახადს იღებდა. ჩვენი შენატანი ამ ფონდში ხელმძღვანელებს კი იყო სამტრედიელების პენსიებით დასაქმდებლობის საკითხი. მაგრამ რადგან სხვა რაიონები ამას ვერ ახერხებდნენ, ეს ფული ნაწილდებოდა ქვეყნის მასშტაბით და პრობლემები ჩვენ გვექმნებოდა. ამგვარი მოწყობის წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი. ასე თუ მიუღებოდათ, მაგალითად, მესტია და ჩოხატაური, ვერასდროს დააკმაყოფილებდა საკუთარ პენსიონერებს, არ ქონდათ შემოსავა...

ლი. და ასეც ხდებოდა, ფონდში შეტანილი თანხის განაწილება საკმარისი არ იყო.

რთული იყო გამგებლობა ბატონო მერაბ?

ურთულესი! და ეს ყველაზე უკეთ ახლანდელმა გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ იცის. მაშინ იგი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ, ერთად ვმუშაობდით. აღმასრულებელ სექტორს მეტი დაწოლა ჰქონდა ვიდრე საკანონმდებლოს, მაგრამ ჩვენ იმდენად საქმიანი და კარგი ურთიერთობა გვქონდა, ბუნებრივია, ყველა პრობლემას იცნობდა. თუმცა, დარტყმა ყოველთვის გამგებელზე მოდიოდა. ვამბობდი, ექიმმა ქალი ცუდად რომ ამშობიაროს, პასუხს იმაზეც მე მთხოვო-თქო. გამგებლად ავვისტოში დავინიშნე და განათლების სისტემაში 4 თვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებში კი, 6 თვის გაუცემელი ხელფასი დამხვდა. მოვახერხეთ ისე, რომ ეს დავალანება გავცეთ და ღვეკმბერში, ღვეკმბერის ხელფასი მიიღეს თანამშრომლებმა. მერე ამბობდნენ, კომუნისტების დროსაც არ ყოფილა ასე, ღვეკმბერის ხელფასი იანვარში იცემოდაო.

სხვათა შორის, „სამტრედიის მაცნეში“ ახსოვთ თქვენს გამგებლობის პერიოდში გათრეგებული ხელფასი და გრანდიოზულად გადახდილი გაზეთის იუბილე. ალბათ ზოგიერთებს ვაწყენინებ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ 70 წლისთავის მასშტაბობა პირადად მაშინდელი გამგებლის, მერაბ სტურუას დამსახურება იყო.

ასეც უნდა ყოფილიყო. ჩემთვის ისეთივე შშობილია ეს გაზეთი, როგორც სამტრედიის რაიონი და ქალაქი სამტრედიის. თქვენ ჩვენი რაიონის მატანეს ქმნით. ვინმეს უნდა თუ არა, ეს ასეა! თქვენ ისტორიის შემნახველის საპასუხისმგებლო მისია გაიცხრათ. სხვათა შორის, აქ ბევრი ისეთი ადამიანი მუშაობდა, ჩემთვის და მთელი რაიონისთვის ძალიან პატივსაცემები რომ იყვნენ. არა მხოლოდ შტატის თანამშრომლები, შტატგარეშე...

აქტივი მყავს მხედველობაში. ჩემი მეზობელი და უახლოესი ადამიანი ანზორ გრიგოლია, ოთარ ნაფეტვარიძე, კორნელი ჩიხლაძე, გაზეთთან თანამშრომლობდნენ ოთარ შანიძე, გენო გეგშიძე და კიდევ ბევრი. ჩემი ოჯახიდან და მათგან გამომდინარე, ამ გაზეთთან არაერთი მოგონება მაკავშირებს. და მაკავშირებდა იმ ასაკიდან მოყოლებული, როცა სულ არ ვიცოდი გაზეთი რა იყო. მერე სამსახურებრივადაც დაუახლოვდი მის კოლექტივს.

ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში თუ გაბრაზებულხართ გაზეთზე? და საერთოდ, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ჩინო...



ვნივს მელაისთან?

გაბრაზებულვარ? სასაცილოა! თუ ცილს გწამებენ, ისეთ პასკვილს გიგონებენ, სიმართლეს რომ არ შეესაბამება, რა თქმა უნდა, გაბრაზდები, მაგრამ ადვილად უნდა გამოხატო ეს გაბრაზება და არა უკადრისად. თუ ისეთ რამეს დაწერენ, იცი მართალია, მაგრამ შეიძლება არ იქნებოდა ცუდი, მაგალითად, თუა რომ დაწერეს, ეს და ეს ასე მოხდა და არიქო, ისე უნდა გამოასწორო ის საკითხი, ცოტა ხანში იძულებული გახდეს თუა დაწეროს, ნახეთ რა კარგად გვეყოდაო.

გარდა ამისა, იმ გაჭირვებულ დროში, ფონდი შევქმენი, რომელიც წარმატებულ, ნიჭიერ ადამიანებს მართალია მცირე, მაგრამ მაინც სტაჟინებს უხდოდა. თავიდან ეს ფონდი მხოლოდ ახალგაზრდებზე იყო გათვლილი, მაგრამ გამგებელი რომ გავხდი, დასახელებაში ახალგაზრდები ამოვიღე და სხვადასხვა ასაკის პოეტებს, მწერლებს, ხელოვანებს, სპორტსმენებს, წარჩინებულ მოსწავლეებს ცოტათი ვეხმარებოდით. ბევრი არ იყო და ბევრი არ იყვნენ, დაახლოებით 20 თუ მეტი, მაგრამ სარეზერვო ფონდიდან მათ დაფინანსებას ვახერხებდით. მეტ-ნაკლებად გაეზარდეთ ხელფასებიც.

ესე იგი, მაშინ რაღაც ჩარჩოების დანერგვა და ამ ყველაფრის მოხერხება შეიძლებოდა თუ კაცი მონიღომებდა არა?

სამი წლის განმავლობაში, იმერეთის 12 ქალაქსა და რაიონს შორის სამტრედიის ეკონომიკური მაჩვენებლებით ლიდერობდა. სხვათა შორის არ მოსწონდა ეს თემურ შამაშვილს, მოგესხნებათ, იმერეთის გუბერნატორი გახლდათ ბატონი თემური. ერთხელ მასსოვს, რეინგების დეპარტამენტიდან ფინანსთა სამინისტროში, იქედან კიდევ რამდენიმე სხვა სამინისტ...

როში მომიწია გაქცევა-გამოქცევა საქმეებზე. ერთ-ერთი რაიონის გამგებელმა მითხრა, მივხვდი, რატომ გვკლავს სამტრედიის. მე გავბოდი, ვხსუბობდი, ვეწვევებოდი, ვეწინააღმდეგებოდი, თუ ეს საჭირო იყო! განსხვავებული ურთიერთობებიც არსებობდა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა. ბრანდელეოდა შამაშვილი, თქვენს დადიხართ, მე მითხარით და მე მოვაგვარებ პრობლემებსო. თათბირი რომ დასრულდებოდა გუბერნიაში, ისედაც შუადამდე აგრძელებდა თათბირებს ბატონი თემური, მერე რჩებოდნენ გამგებლები სასაუბროდ. მეუბნებოდნენ, შენ რატომ არ რჩები პრობლემა არ გაქვს? როგორ არ მქონ...

სრულეთ. ბოლოს კი, კარგად მახსოვს, 5 555 555 ლარი დაგვიჯდა... შესრულებით 6 მილიონით შეეასრულეთ.

სუთიანი „ნაციონალი“ ყოფილხართ... (მითხველი სახუმარო ტონს მიგვიხველება)

არ თქვათ... რა ვიცოდი თუ მოვიდოდნენ, ეს იმ წელს იყო, ნაციონალები რომ მოვიდნენ. ჩემი „ბრალი“ მე მოვიყვანე სუთიანებიანი ბიუჯეტით.

მერე არ „დაგიფასეს“ ეს ახლამოსულებმა?

2003 წლის 1 დეკემბერს განცხადება დავწერე, რომ ამ სიტუაციაში ვერ ვიმუშავებდი, 5-ში ჩემი ხელით ჩავუტანე ბურჯანაძეს, მაშინ იგი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. 9-ში კი ხელმოწერილი ჩამოვიდა, რომ განთავსდებოდა უფლები გახლდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან მომავლეს ჩემი მოადგილეებიც.

მოადგილეები ვინ იყვნენ?

ავთო ჩიქოვანი, თამარ შულაძე, ნათელა ჩიქოვანი, ლაშა ქაშაყაძე... ხელფასები მაშინ გაცილებით დაბალი იყო. ბიუჯეტის ჭარბი შესრულების გამო, წლის ბოლოს პრემია გაცა, მაგრამ იგი, ჩვენი განთავსდებულების შემდეგ, 20-25 დღის დანიშნულმა რაიონის ახალმა ხელმძღვანელებმა მიიღო.

როგორი ურთიერთობა გქონდათ „ნაციონალებთან“?

არანაირი. ვერცხვობდი მათთან ურთიერთობას. რამდენიმე წელი გამგებობის შენობაში არც შევსულვარ. გარკვეული პერიოდის მერე თავად დამიძახეს, ქალაქის დაგეგმარებაზე მუშაობდნენ, თუ რაღაც მსგავს პროექტზე. ჩემს მერე ვინც მოვიდა გამგებლად, ყველამ 11-11 თვე იმუშავა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მეორე ჯერზეც მობრუნდა.

თქვენც ხომ მობრუნდით მეორე ჯერზე, სტურუას „მეორედ მოსვლა“ ხომ იყო?

სტურუას მეორედ მოსვლა ჩემს მობრუნებას არ ერქვა. ბატონი ოთარ შანიძე ხუმრობდა, სამტრედიის ისტორია არის ისტორია სტურუადან სტურუამდე. პირველად, რაიონული დაყოფა რომ შემოიღეს, 1928 წელს ხელმძღვანელი ვანო სტურუა ყოფილა. გარდა ამისა, მაშინვე რომ წავიდა თანამდებობიდან, 23 წელი გახლდათ იგი სასამართლოს თავმჯდომარე, ოთარ სტურუამ შეცვალა. ამიტომაც ისე უმრა ოთარ შანიძემ, თვითნაბადი ნიჭის კაცმა, სტურუადან სტურუამდე სამტრედიის ისტორიაო.

თქვენც მეორე ჯერზე მოსვლა თქვენს მათხვებს ბატონო მერაბ, სათაურად მქონდა წერილზე „სტურ-

ურუამდე... მე მაქვს დაუშვით ხუთი პრობლემა. რომელსაც ჩემით ვერ შევწვდები, მომიგვარებს გუბერნატორი, მაგრამ მას კიდევ სხვა რაიონების საქმეები ხომ აქვს მოსაგვარებელი?! დანარჩენს აუღებო და რაღაც ვუცადო, ჩემით მოვეუდო.

3 მლნ 800 ათასიანი ბიუჯეტი დამხვდა. მეორე წელს 4 მლნ ნახევრანი დავეგეგმეთ, შესრულდა 4 მლნ. 700 ათასი იყო. მერე ხუთ მილიონზე დაიგეგმა და 5 მლნ 200 ათასი შევა-

სრულეთ. ბოლოს კი, კარგად მახსოვს, 5 555 555 ლარი დაგვიჯდა... შესრულებით 6 მილიონით შეეასრულეთ.

სუთიანი „ნაციონალი“ ყოფილხართ... (მითხველი სახუმარო ტონს მიგვიხველება)

არ თქვათ... რა ვიცოდი თუ მოვიდოდნენ, ეს იმ წელს იყო, ნაციონალები რომ მოვიდნენ. ჩემი „ბრალი“ მე მოვიყვანე სუთიანებიანი ბიუჯეტით.

მერე არ „დაგიფასეს“ ეს ახლამოსულებმა?

2003 წლის 1 დეკემბერს განცხადება დავწერე, რომ ამ სიტუაციაში ვერ ვიმუშავებდი, 5-ში ჩემი ხელით ჩავუტანე ბურჯანაძეს, მაშინ იგი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. 9-ში კი ხელმოწერილი ჩამოვიდა, რომ განთავსდებოდა უფლები გახლდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან მომავლეს ჩემი მოადგილეებიც.

მოადგილეები ვინ იყვნენ?

ავთო ჩიქოვანი, თამარ შულაძე, ნათელა ჩიქოვანი, ლაშა ქაშაყაძე... ხელფასები მაშინ გაცილებით დაბალი იყო. ბიუჯეტის ჭარბი შესრულების გამო, წლის ბოლოს პრემია გაცა, მაგრამ იგი, ჩვენი განთავსდებულების შემდეგ, 20-25 დღის დანიშნულმა რაიონის ახალმა ხელმძღვანელებმა მიიღო.

როგორი ურთიერთობა გქონდათ „ნაციონალებთან“?

არანაირი. ვერცხვობდი მათთან ურთიერთობას. რამდენიმე წელი გამგებობის შენობაში არც შევსულვარ. გარკვეული პერიოდის მერე თავად დამიძახეს, ქალაქის დაგეგმარებაზე მუშაობდნენ, თუ რაღაც მსგავს პროექტზე. ჩემს მერე ვინც მოვიდა გამგებლად, ყველამ 11-11 თვე იმუშავა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მეორე ჯერზეც მობრუნდა.

თქვენც ხომ მობრუნდით მეორე ჯერზე, სტურუას „მეორედ მოსვლა“ ხომ იყო?

სტურუას მეორედ მოსვლა ჩემს მობრუნებას არ ერქვა. ბატონი ოთარ შანიძე ხუმრობდა, სამტრედიის ისტორია არის ისტორია სტურუადან სტურუამდე. პირველად, რაიონული დაყოფა რომ შემოიღეს, 1928 წელს ხელმძღვანელი ვანო სტურუა ყოფილა. გარდა ამისა, მაშინვე რომ წავიდა თანამდებობიდან, 23 წელი გახლდათ იგი სასამართლოს თავმჯდომარე, ოთარ სტურუამ შეცვალა. ამიტომაც ისე უმრა ოთარ შანიძემ, თვითნაბადი ნიჭის კაცმა, სტურუადან სტურუამდე სამტრედიის ისტორიაო.

თქვენც მეორე ჯერზე მოსვლა თქვენს მათხვებს ბატონო მერაბ, სათაურად მქონდა წერილზე „სტურ-

ურუამდე... მე მაქვს დაუშვით ხუთი პრობლემა. რომელსაც ჩემით ვერ შევწვდები, მომიგვარებს გუბერნატორი, მაგრამ მას კიდევ სხვა რაიონების საქმეები ხომ აქვს მოსაგვარებელი?! დანარჩენს აუღებო და რაღაც ვუცადო, ჩემით მოვეუდო.

3 მლნ 800 ათასიანი ბიუჯეტი დამხვდა. მეორე წელს 4 მლნ ნახევრანი დავეგეგმეთ, შესრულდა 4 მლნ. 700 ათასი იყო. მერე ხუთ მილიონზე დაიგეგმა და 5 მლნ 200 ათასი შევა-

სრულეთ. ბოლოს კი, კარგად მახსოვს, 5 555 555 ლარი დაგვიჯდა... შესრულებით 6 მილიონით შეეასრულეთ.

# სამსახური, მიღწევა ქათი ზარიაშვილი!

## თბილისის ბავშვთა სასახლე

წარმატებებს წარმატებები ემატება. არც მომავალი წლები იქნება ახალი მიღწევების გარეშე. საუბარი დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაზე. მხოლოდ წარმატებებზეც ამიტომ ვსაუბრობთ.

ქეთევან ზარიაშვილი უკვე რამდენჯერმე გაგაცანიტ, ამ სკოლის საფორტეპიანო კლასის მოსწავლე. მისი პედაგოგი თამარ შურღიაა გახლავთ. საქმეში ჩახედული მეთხველისთვის უკვე მისაზრდელია, რომ თამარი მოსწავლელის მოსწავლეობა, მიღწევის ნახევარს უდრის.

მე-3 კლასელი ქეთი ზარიაშვილი მისი ასაკისთვის საკმაოდ რთულ პროგრამას კარგა ხანია ასრულებს. ვალერიან შიუკაშვილი მისით ჯერ კიდევ გასულ წელს დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ პრესტიჟულ კონკურსზე თავი

გამოიჩინა. მერე მასტერკლასები დაუწინა, რომელიც გასული წლის ნოემბერში ჩაუტარა.

ქეთევან ზარიაშვილზე ამჯერადაც მიღწევების გამო ვწერთ. რაბლეს "პეპელა" და შოპენის "კონტრდანსე" პედაგოგის დახმარებით წინასწარ დამუშავებული ჩაიტანა მასტერკლასებზე. იმდენად მოეწონა ვალერიან შიუკაშვილს, რომ მასთან გადაღებულ სურათს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე წარწერა გაუკეთა: "მადლობა მასტერკლასს ქეთევან ზარიაშვილისთვის. სამტრედიას, გილოცავ ქეთევან ზარიაშვილს!" საბოლოოდ კი, მე-9 კონკურსულ კონკურსზე მონაწილეობის მიღება დაფინანსებით მოსთხოვა.

სანამ ეს კონკურსი ჩატარდებოდა, ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ "ლირას" მიერ ბათუმში ჩატარებულ ფესტივალზე, ქეთიმ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია.

4 დეკემბერს თბილისში გამართული

მე-9 კონკურსული კონკურსის ფიურის ექვსი წევრიდან, ერთ-ერთი თამარ ლიჩელი გახლდათ. სამტრედიელი კონკურსანტით იგი განსაკუთრებით დაინტერესდა. ქეთი კონკურსის ლაურეატი და მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

მისალოცი ამბავია! ეს მისალოცი ამბავი კი, პირველ რიგში მისი პედაგოგის, თამარ შურღიას დამსახურებაა, ქეთის უდიდესი შრომის შედეგია, სამუსიკო სკოლის დირექტორის, ირმა შანიძის ხელშეწყობის "ბრალია."

წინ კიდევ ბევრი კონკურსია, ახმია-ნებული შავ-თეთრი კლავიშებით გასამარჯვებელი, ბევრი წარმატებაა მისაღწევი. დიან, დიდი პასუხისმგებლობა, თამარ შურღიას მოწოდება, დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში.

და რადგან ცნობილი ვალერიან შიუკაშვილმა მიულოცა, ჩვენც ვულოცავთ სამტრედიას ქეთი ზარიაშვილს!



## უას მორედ მოსვლა?

– შენ გეჭნებოდა! თავდაპირველად, გამგებელი წარდგინებით ინიშნებოდა. 2000 წლის აგვისტოში დავინიშნე. ცოტა ხანში კანონმდებლობა შეიცვალა, 2002 წელს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. შეცვლილი კანონმდებლობით ჯერ უნდა გამხდარიყავი რომელიმე სოფლის თუ ქალაქის საკრებულოს წევრი, მერე საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარე ავტომატურად რაიონის საკრებულოს წევრი ხდებოდა. საკრებულოს უმრავლესობა ვისაც მხარს დაუჭერდა, გამგებელი ის გახდებოდა. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. არ იყო ეს ყველაფერი ადვილი, ბატონი გივი ლაღანიძე, რომ იტყვიან, ფეხდაფეხ მომეყვანა, მასაც დიდი შანსები ჰქონდა.

– მიუხედავად ამისა, როგორც ვიცო, თქვენ და გივი ლაღანიძეს ახლო მეგობრული ურთიერთობები გაქვთ...

– რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარია გივი. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მას დიდი წონა და გავლენა ჰქონდა და აქვს. ერთი უნდა ვთქვა, მე არჩეული გამგებელი, ხელისუფლების შეცვლისთანავე საკუთარი ნებით წავედი თანამდებობიდან. 2012 წელს ხელისუფლება რომ შეიცვალა, "ნაციონალი" ადგილობრივები, იმ სარჩულით, არჩევნები ვართო, ვადის ამოწურვამდე ხელისუფლებაში დარჩნენ. და ეს იმ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები იყვნენ, მოსვლისთანავე რომ გაათავისუფლეს ყველა, ვინც დახვდათ. მე განცხადება წასვლის თაობაზე ჩემი ხელით ჩაუტანე ბურჯანაძეს. მერე, როცა დამირეკეს ვუბერნატორი გიბარეშვილი, მუშაობა გახლდათ ის გუბერნატორი, წადიო, რომ უნდა ვთქვა, უკვე წასული ვიყავი თანამდებობიდან. რომ დამირეკეს, კახა შენგელიასთან გახლდით სტუმრად, თბილისის ვიცი მერი იყო მაშინ. კახა თავად ელაპარაკა მუშაობას, რომელმაც უთხრა, რომ ყველა რაიონის გამგებელს წასვლის განცხადებები უნდა დაეწერიო. რომ გაიგო, უკვე დაწერილი მქონდა, აბა აღარ მოვიდესო, ბრძანა. იგივე "ნაციონალები" თავად ასე არ მოქცეულან ხელისუფლებიდან არჩევნების წაგებით წასვლის შემდეგაც კი! კიდევ ორი წელი დარჩნენ ხელისუფლებაში. მე არსად გავქვეულვარ, არც მიწები მიყიდა და არც სამსართულიანი უნივერსიტეტი მიშენებია.

– სკამი რომ ტკბილია, ამაზე არ ღაწობენ. თანამდებობა საქართველოში სახელისა და პრესტიჟის გა-

რდა, უპირველესად საკუთარი კეთილდღეობის იარაღია. დღევანდელი გადმოსახედიდან რას ნიშნავს იყო რაიონის გამგებელი?

– დავიწყებ იმით, რომ ასე არასდროს მიფიქრია. მე და გამგებელს ამას წინათ გვექონდა საუბარი. ახლა სხვა, გაცილებით რთული პრობლემაა, მითხრა. მასაც ვუთხარი და ახლაც ვიმეორებ – რა პრობლემაა, პენსიებზე, ხელფასებზე, ბუჯეტის შესახებ საფიქრალი გამგებელს არ აქვს. ჩემს დროს, გამგებლის თავსატეხი ბიუჯეტის შესრულება გახლდათ. ორი-სამი თვე ზედხედი ბიუჯეტს ვერ შეასრულებდი, გამგებელი მოხსნილი იყო. საგადასახადო უფროსზე მეტად მე დავბრობდი მის შესასრულებლად. დანაშაული მიხდებოდა, პასუხს შენ გთხოვდნენ. სტატუსიტაის გიმოწმებდნენ, ტყავს გაძრობდნენ. ვნებობდი, პასუხს რომ მითხოვთ, ის მაინც გამაგებინეთ პოლიციის უფროსად ვის ნიშნავთ-თქო. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე გთხოვდნენ პასუხს, რაც ახლა მეტყველებდ მონესტირებულა შენგან დამოუკიდებელი მიხეზნით და შენ არ გევალება მაინც ზრუნვა. მაგრამ მეორეცაა, მე თათბირს რომ ვატარებდი, პოლიციის უფროსი, ორი პროკურორი, რეგიონალური და ადგილობრივი, უშიშროების ორი წარმომადგენელი, რეგიონალური და ადგილობრივი, ესწრებოდნენ. მოსამართლეს თავად ვუთხარი, რომ თუ მას არ ჰქონდა სურვილი, არ დასწრებოდა ჩემს თათბირებს. მე მოსამართლის ოჯახში გაზრდილი ვარ. მე რა ინფორმაცია უნდა მიმელო მისგან, ან ის რას გაიგებდა ჩემს თათბირებზე მისი საქმიანობისთვის საჭიროს და საინტერესოს? ამასთანავე, წყალ-კანალი არ დარჩა რაიონის მისი, საგადასახადო სამსახური, პრივატიზაციის და მიწის მართვის სამსახურები რაიონში არაა. დასუფთავების სამსახური დარჩა, ნაგავი რომ გაიტანოს და მორჩა! საქმე იმის შესახებაც რაც ადრე იყო, ხელფასი კი ათჯერ მეტი. თავდაპირველად 90 ლარი მქონდა და 180 რომ გახდა, უდიდესი ხელფასი იყო. მიუხედავად ამისა, კომპაგვირის მდიონობისას უფრო მეტი "კლასტი" მქონდა, ვიდრე გამგებლობისას. ეს მაშინ, და ახლანდელ გამგებლებზე საერთოდ არაა საუბარი. კომპაგვირში რომ ვიყავი, სახელმწიფოსი იყო ყველაფერი და საქმის მოსაგვარებლად ერთი ზარი კმაროდა.

– უკვე განცხადება გააკეთა მოქმედმა გამგებელმა და ცნობილია, რომ იგი მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში კიდევ ერთხელ სც-

## რას ხვრთა "ივერია"

პირველ ქალებს ახალი მაიმუნობა, ახალი მოდა შემოუღიათ. თმას მუქ წითელ ფერად იღებდნენ, უკანასკნელ ბალებსა და მასკარადებზე ბევრი ქალი ყოფილა ასე თმა-შეღებილი.

### "ივერია" 1889 წ. 25 მარტი

კარგად მოგეხსენებათ, რომ ამერიკაში განქორწინება და თოხლო კვერცხის გადაყლაპვა ერთია. მაგალითებ, უკანასკნელ ოც წელიწადს შეერთებულ შტატებში 328 716 ცოლ-ქმარი განქორწინებულა. რას გაუყრია ისინი? რა გაკზნოდა ამათ განცალკევების მიზეზი და საბაბი? აი, სხვათა შორის რა: ქმარს ცოლისად გაუღიანდავს, ქმარს თამბაქო უღეჭა.

ქმარს თავისი ცოლის ძალისათვის პანური ამოუკრავს, ქმარი სახლში შუადამის შემდეგ დაბრუნებულა და ცოლი არ დაუძინებია თავისი ლაპარაკით. ცოლს ქმრისთვის პერანგზე ღუგმა არ დაუკერებია...

ქართველებშიც რომ ყველა ეს მიზეზი საქმარის იყოს განქორწინებისათვის, მთელს საქართველოში ცოლ-ქმარი ან კი სანთლით იპოვებოდა და სადმე?!

### "ივერია" 1890 წ. 20 თებერვალი

ნიუ იორკში დაარსებულა ერთი ახირებული საზოგადოება, რომლის წევრებად მხოლოდ გასათხოვარი ქალები არიან.

საზოგადოებას აზრად აქვს ცოლები შერთოს კუხიანებს, კოჭლებს, უხელოებს, ბრძებს.

საზოგადოების წევრებად მიიღებიან გასათხოვრები და ქვრები 30 წლამდე. ამასთანავე ეს ქალები სრულიად ჯანსაღი უნდა იყვნენ. საზოგადოების წევრ ქალს ხელ-წერილს ართმევენ, რომ იგი მოვალეა მხოლოდ მანხვსა და ბუნებით დანაგრულ კაცზედ გათხოვდეს.

### "ივერია" 1897 წ. 3 აგვისტო

საბრალო სიღვრნი, რომელნიც ყველგან სძულთ, ყველგან ჰპტრობენ, ასე წარმოიღვინეთ, სან-ფრანცისკოშიც კი აძულებულნი ჰყოლიათ...

### "ივერია" 1889 წ. 25 ოქტომბერი

შპს-ის ლეონ ბაბუნაშვილი

დის ბელს, მაგრამ როგორც მის ამ განცხადებამდე ამბობდნენ, თქვენც აპირებდით არჩევნებში გამგებლის თანამდებობაზე მონაწილეობის მიღებას. მართალია?

– პირველად მესმის, არც მქონია ასეთი სურვილი. სანამ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდებოდა, იყო რაღაც საუბრები, მაგრამ მაშინვე უარი ვთქვი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეორეჯერ აღარ შედიან იმ მდინარეში სადაც ერთხელ შეცურეს. მეორეც, როცა გამგებელი ვიყავი, მე თავად დაეკომპლექტე მოადგილეები და სხვა კადრებით გამგეობის შემადგენლობა...

– ახლაც ასე არ ხდება?

– კერ გეტყვიო...  
– აბა, რატომ ამავხილებთ ამაზე ყურადღებას?

– არ ვამახვილებ, ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. ახლა როგორ ხდება მე არ ვიცი, ეს გამგებელს ჰკითხოთ. მე რომ დავინიშნე, ჩემთან სამტრედიელების ერთი ჯგუფი მოვიდა, რომლებმაც განმიცხადეს, რომ ისინი "მოქალაქეთა კავშირის" დამფუძნებლები იყვნენ და შესაბამისად, თანამდებობები უნდოდათ. მე მათ ვუთხარი, რომ სულ არ ვიყავი ამ პარტიის წევრი. თუ თქვენ არ ხართ, ის ვინც აქ გამოვიშვით, ჩვენი გენერალური მდივანიაო, შევარდნაძეს გულისხმობდნენ. 40 წუთი ვიჯექი შევარდნაძესთან კაბინეტში, მაგრამ რაღაც არ მახსოვს, ვთქვა, რომ დამესაქმებინეთო, ვუპასუხე, გაბრანდენ. შამაშვილი გახლდათ გუბერნატორი, რომელსაც დიდ

პატივს ვცემდი. მაგრამ დამერწმუნეთ, მაშინ არც გუბერნატორი, არც გენერალური პროკურორი და არც შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე ხელაღებით არ კადრულობდნენ დაეკალბით, ეს და ეს დანიშნე ვინდა თუ არაო. იქნებ ყველა კარგი ხალხია, მაგრამ პარტიული ნიშნით და ვიდაცის სურვილით არ უნდა ხდებოდეს კადრების დაკომპლექტება.

– აძლევს თუ არა ხელმძღვანელს თანამდებობა ყველაფრის უფლებას, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მას თანამშრომლებთან და თუ არსებობს შეზღუდვა ხელმძღვანელისთვის თანამშრომლებთან მიმართებაში?

– მე ხელმძღვანელი ვარ და ყველაფრის უფლება მაქვს, ეს ასე არ არის! მას პირველ რიგში მოსმენა უნდა შეეძლოს. ყველას უნდა მოუსმინოს, რადენადა გაითვალისწინებს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ როცა ხელაღ, რომ თანამშრომელი მართალია, უნდა დათმოს კიდევ! სამსახურებრივად კამათიც შეიძლება მოვივდეს თანამშრომელთან, მაგრამ მის გარეთ, ადამიანურ ურთიერთობებში არ უნდა შეგეშალოს. თმენის ვალდებულება ყველაზე საჭირო თვისებაა ხელმძღვანელისთვის.

– მე ჯერ ისევ დამწევი შურნალისტი გახლდით თქვენს გამგებლობის პერიოდში. არასდროს მახსოვხართ შურნალისტებზე გაბრანებული, პირიქით, თქვენ "მეგობრობდით" მათთან და ეს დღესაც ყველას გავხსოვს. მაშინაც გწერდი

იმ პათოსით, როგორც დღეს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, არ ვნებობდით! როცა თანამდებობიდან მიდიოდით, მანსოვს მითხარათ, თუ ასე გწევა გული, რას მერჩოდით. მაგრამ, ალბათ გყავთ უკმაყოფილოებიც, რა და ვისთან შეეშალა გამგებელ მერაბ სტურუას?

– არ ვიცი, უშეცდომო არავინაა და ვინც მუშაობს, შეცდომაც მას მოსდის, მაგრამ ნამდვილად არაფერს დამიხარავს. თუ შემძლო, არ დაგხმარებოდი, არც ასეთი მახსოვს. ერთია, სერგო რუხაძე, რომელთანაც დღეს ემეგობრობ. გული სტივია, თავის დროზე სათანადოდ რომ არ დაუდგენი გვერდით. ახლა მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მაშინ არ ვიცნობდი სერგოს და არ ვიცოდი მისი შესაძლებლობები. მადლობელი ვარ დღესაც ავთო ჩიქოვანის, გია კოპალეიშვილი რომ გამაძნო. იგი საუკეთესო ადამიანი და კვალიფიციური თანამშრომელი გახლდათ. გია ბატონი ავთოს რეკომენდაციით მივიღე სამსახურში, სერგოზე კი უარი ვთქვი ეს ერთი და იგივე პერიოდში მოხდა.

– რა რჩევას მისცემთ დღევანდელ გამგებელს?

– ჩემი რჩევა ვალერი ფოცხვერისას არ სჭირდება. მე ფიცხი გახლდით, მაგრამ გაბრანება მალევე გადამდოდა და ეს დღესაც ასეა. ვალერი წყობიდან არ გამდის, თავდაჯერებული და მშვიდი. უბრალოდ, ვეტყვი, რომ არ მახსოვს სად წავივითხე, ბრძოლა საკუთარ თავს თუ არ მოუგე, ყველა ბრძოლაში დამარცხდებით. საკუთარ თავზე გაემარჯვების და კიდევ... და კიდევ, მალე დაოჯახდეს!

# “საუნჯე” – ახალი რუბრიკა

იანვრიდან “სამტრედიის მაცნე” იწყებს ახალ რუბრიკას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება უკვე რარობითული მნიშვნელობის წერილები, ფოტო-მასალა ჩვენი ქვეყნის, ერის, სამტრედიის მნიშვნელოვან მოვლენებს რომ ასახავენ.

შევეცდებით უფრო ახლოს გავაცნოთ სასიქადულო მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა, საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების განსაკუთრებული პერიოდები.

“საუნჯე” იქნება რუბრიკის სახელწოდება.

ვიმედოვნებთ, მკითხველი მოწონებით შეხვდება ამ გადაწყვეტილებას, ახალგაზრდები კი უფრო გაიღრმავებენ ცოდნას.

**რუბრიკას გაუმჯობესებენ ლევან ბაბუნაძე.**

## ქართული ძალისძიება და მოსახლეობა

მიმდინარე წლის ზაფხულში 110 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც წინამართლიან საბედისწერო გასროლამ სიცოცხლეს გამოასალმა დიდი ერისკაცი ილია ჭავჭავაძე.

ნიმანდობლივია, გავისხენით, თუ როგორ გამოეხმაურა მაშინდელი საზოგადოება, მწერალი ქალები ამ ვერაგულ ამბავს.

1907 წლის 30 აგვისტოს, როცა ილია მოკლეს თბილისიდან საგურამოში მიმავალი მოსილი ორი ქალი გაემართა, ისინი იყვნენ მწერლები ნინო ნაკაშიძე და ეკატერინე გაბაშვილი.

“შენი სამარის წინაშე თავმოყრილი ქართველი ქალები იმისათვის დაგტირან, რომ ადამიანური უფლების ერთგული ქომაგი იყავი.

ამან მისცა ფასი და მნიშვნელობა შენს ნაწერებს.

დაჩაგრული ადამიანის უფლების დაცვა ქალის უფლების დაცვაა... შენი საუკეთესო ღვაწლი საზოგადო კაცობრიულ გრძობათა გაღვივება იყო და ამ გრძობამ შეგვყარა დღეს შენი სამარის წინაშე განურჩევლად მამაკაცი და დედაცანი”. – ასე მიმართა ნინო ნაკაშიძემ დაკრძალვის დღეს დიდ ილიას.

სწორედ ილიას განსაკუთრებულმა მზრუნველობამ გახდა საყოველთაოდ ცნობილი” ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე გაბაშვილი, დომინიკა ერისთავი – განდევილი, ოლა ალაძე, ანასტასია თუმანიშვილი, მარიამ დემურია და სხვები.

ილია დიდი სიხარულით შეხვდა სამწერლო ასპარეზზე ეკატერინე გაბაშვილის გამოხვლას.

თამარ მაყაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: “ილიამ თავის მეუღლეს ოლა გურამიშვილს სთხოვა – როდესაც ყურნალ-გაზეთებში ეკატერინე გაბაშვილის წერილები შეგხვდეს, მაგიდაზე გადაამოშა, რომ ყურადღებიდან არ გამოიშრეს”.

ილია რომ დიდად აფასებდა ეკატერინე გაბაშვილს, იქედანაც ჩანს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში 11 მამაკაც მწერალთან ერთად, მეთორმეტე წევრად სწორედ ეკატერინე გაბაშვილი შეიყვანა.

დიდა ილიას წვლილი სამწერლო ასპარეზზე ოლა ალაძის გამოსვლაში.

ფოსტა-ტელეგრაფში მომუშავე ეს ახალგაზრდა ქალი მან მიიწვია “ივერიის” რედაქციაში მუდმივ კორესპონდენტად.

ილიამ გაუკვალა გზა მწერლობაში დომინიკა ერისთავს.

დომინიკაც რედაქციაში მიიწვია, როგორც ქართული ენის კარგი მცოდნე.

“ივერიის” ფურცლებზე კი დომინიკას პირველი ლექსი 1893 წელს დაბეჭდა.

1902 წელს, როცა დომინიკა ერისთავმა საზოგადოებას გრძობილოვის კომედიის “ვაი ჭკუისაგან” საკუთარი თარგმანი შესთავაზა, ილიამ თარგმანის სიამოვნებით მოაწერა ხელი და მისი რედაქტორობაც იყისრა.



ილია ჭავჭავაძე



ეკატერინე გაბაშვილი



ლევან ბაბუნაძე

“ვინ უნდა დასდოს მსჯავრი ილიას სისხლის მტვრით? ნაფიც მოსამართლეებმა? საზოგადოებამ? – ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ, თვით ილიასთან ნაპურმარილევა გლეხობამ და ჰემოს საზიზარი მკვლელები, დაე, უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს – კაენ, სად არის მამა შენი?” – ასე გამოეხმაურა დომინიკა ერისთავი ილიას მწუხანათური მკვლელობის საზარელ ფაქტს.

შენ წახველ მარა შენს სახელს, ვერ დაივიწყებს ქვეყანა: უკვდავი შენი საქმენი არის, იქნება ყველგანა.

ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა ასე გამოხატა ილიასადმი მიძღვნილ ციციქნა ლექსით ნინო ორბელიანმა.

წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდ როლს ანიჭებდა ერის მამა საზოგადოებაში

– მწერლობაში ქალთა ჩართულობას. ასე რომ, ჩვენ დრომდე გაცილებით ადრე უწყობდა ილიამ ქალსა და კაცს თანაბარი უფლებები რომ უნდა ჰქონოდათ.

## ქართული თეატრის დიდი მოსახლეობა

გასული საუკუნის ქართული თეატრის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული ნიჭიერი რეჟისორის, პედაგოგის, მკვლევარის, საქართველოს სახალხო არტისტის აკაკი ფაღავას სახელი.

იგი 1887 წელს 15 თებერვალს სამეგრელოში, სოფელ ნახუნავაში დაიბადა.

1908-1909 წლებში აკაკი ფაღავა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო კლასში სწავლობდა სტანილავესკისა და ნემიროვიჩ-დამჩენკოს უშუალო ხელმძღვანელობით. სამი წელი დაჰყო ნიჭიერმა ახალგაზრდამ სამხატვრო თეატრში რეჟისორის თანაშემწის თანამდებობაზე, პარალელურად კი მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა.

მომდევნო წლებში მთელი ენერჯითი განაგრძო რეჟისორმა მოღვაწეობა სამშობლოში.

ახსოვთ უფროსი თაობის ადამიანებს ნიჭიერი შემოქმედის მიერ დადგმული სპექტაკლები: დ. კლდიაშვილის “სამანიშვილის დედინაცვალი”, “ირინეს ბედნიერება”, “დარისპანის გასაჭირი”. ს. შანშიაშვილის “უგვირგვინი მეფენი”, ბ. ლაბინიშვილის “რეკვივა”.

“ფაღავას სტუდია” – ასე ეძახოდნენ კადრების სამკვლელოს, რომელსაც თავად რეჟისორი ხელმძღვანელობდა.

აკაკი ფაღავას განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართული სცენის არაერთი ნიჭიერი მსახიობის პროფესიული დახელოვნების საქმეში, რომელთაგან უნდა აღინიშნოს სესილა თაყაიშვილის, ვასო გომიაშვილის, სერგო ზაქარაიძის, პიერ კობახიძის, სხვა შემდგომში ცნობილი მსახიობების გვარ-სახელები.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ა. ფაღავა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს, აგრეთვე, სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აიდგეს ფეხი ნიჭიერმა მომღერლებმა: მ. ნაკაშიძემ, ნ. ხარაძემ, დ. გამრეკელმა, ბ. კრავიციანიძემ, მ. ყიფიანმა, ნ. ბოჭორიშვილმა და სხვებმა.

სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებელი რეჟისორი, ქართული ხელოვნებისა და კულტურის აღიარებული ქურუმი.

უზომოდ გაიხარა, როცა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმესა და ახალგაზრდა კადრების აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს.

აღსანიშნავია, რომ მაშინ ამ საპატიო ტიტულის მატარებელი საქართველოში თითოეულ ჩამოსათულებელს იყენებენ.

არაერთხელ აღნიშნეს ხელოვანის დაბადებისა და მოღვაწეობის საიუბილეო თარიღები, რომლებიც მისადმი პატივისცემით სიყვარულითა და აღიარებით იყო გამოხატული.

მწუხარებით გამოეთხოვა საზოგადოება დამაშვრალ ადამიანს. 130 წელი სრულდება ამ დღეებში ლეგენდარული რეჟისორის დაბადებიდან, ამიტომაც გადავწყვიტეთ “საუნჯეში” მისი დიდი დამსახურების შესახებაც გვესაუბრა.

## თარიღი გვანი თანამოაზრე პიუტი

საქართველოსა და იმერეთის ერთ-ერთი უდიდესი სოფელი დიდი ჯიხაში ოდენ ნიკო ნიკოლაძით როდია ცნობილი. მრავალი ღირსეული მამულიშვილის აკვანი დაირწა აქ.



გ. გაბაშვილი

სოფელი დიდი ჯიხაში, ყაზბეგის უბანი. 1907 წელს აქ, ვარლამ კაჭახიძის ოჯახში დაიბადა შემდეგში ნორჩების გულის მესაიდუმლე პოეტი გიორგი კაჭახიძე, კაცი, ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩუმად, უპრეტენზიოდ რომ ზიდა მუხის მსახურის მძიმე, თუმცა საამო და საპატიო ტვირთი.

სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია პოეტს კავშირი მშობლიურ სოფელთან.

1980-იანი წლების დასაწყისში პოეტს 70 წლის იუბილე მშობლიურ ყაზბეგის სოფელში გადაუხადეს.

პოეტებთან: ვასილ გვეტაძესთან, შალვა ამისულაშვილთან, ალექსანდრე გომიაშვილთან, დიდჯიხაშიელ პროფესორ ტრიფონ რუხაძესთან ერთად სწევია მაშინ პოეტი დიდჯიხაში და უდიდესი ადვოკატისა და განუცდა.

1997 წელს ყაზბეგის სკოლის მოსწავლეებმა კვლავ გრანდიოზულად აღნიშნეს პოეტის 90 წლის იუბილე, მაშინ ბატონი გიორგი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

მის შესახებ მოსწავლეებსა და შეკრებილთ პოეტის და, ქალბატონი ტატანა კაჭახიძე, ბიძაშვილი, ქალბატონი ვენერა კაჭახიძე ესაუბრნენ.

ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილა გიორგი კაჭახიძის პოეზია ნიჭიერმა ფილოლოგმა თეიმურაზ ნუცუბიძემ.

წელს 110 წელი სრულდება ცნობილი საბავშვო პოეტის გიორგი კაჭახიძის დაბადებიდან.

კარგი იქნება, თუ მშობლიურ რაიონში, თუნდაც სოფელში და ყაზბეგის სოფელში მოკრძალებული ღონისძიებით მაინც თუ გამოეხმაურებიან პოეტის საიუბილეო თარიღს.

მშობლიური სოფლის ფშანების, ორბილეების ნოსტალგია იყითხება პოეტის ერთ ლექსში, რომელსაც ახლა ვებეჭდათ. “მოსწერებელი დაგეწაფები” ასე ჰქვია ლექსს.

ჩვენი ჭალების წყარო ანკარა სულ პირნათელი, სულ თვალციმციმა კვლავ ვინახულე და გამახარა, კვლავ შევდიხი და გამიცინა.

ამაჩქოლა და ამაჟღურტულა, შემეთამამა ჩქერად ნაშობი, შემომასწვტა მზეფი ქურდულად და გამახსენა დღენი ბავშვობის.

ბიჭად მონიტულს ჯანი მწყალობდა, ეჩქეფდი სიცოცხლედ აქვე ყანაში, ჩამოვიბრუნდი და იმ წყაროდან წყალი მომქონდა თამამ-თამამით.

წყაროვ, ხომ მიცან ხომ გამიხსენე, ნუ დაგაფიქრებს ჩემი ჭადარა, გულით, სისხლხორციით ის ვარ ისევე – ამ დიდ მიწაზე ბორცვი პატარა.

მოდ, მამაზე ჭალის ამბები, ნუ მოგკლებოდეს გლეხის მადლობა, მოწყურებული დაგეწაფები, და დამიბრუნე ახალგაზრდობა.

ლევან ბაბუნაძე

## “ბაბუნაცვალი, ანუ “სანტა კლაუსი”...

...ეთერში რად გაჰქრა, ჩოხოსანი თოვლის ბაბუა?!

...რომ სხვადგვარსნი შვილნი, შვილიშვილნი თუ აკვინს ალუა...

კერას ამავრებს რამსცმ მოგვაჯიშა – სხვად არ გვაგუა... და ხალხს კი ერად იქმს “ერისკაცნიო” – ამბობს ჭაბუა.

მთავარსხედ მძეტად წერილმანსში ბუღლოს იგივე მთავარი, “რიეთმოპკვდავნი” გენისთვის თუვალ-თუვალ მრავალლი, ცრუ ნაყოფია, უპატრონობით, შესჭამს მავანნი,

ამდმსც ქვეყანა, ...ერის კაცთგან არს... აღმამავალი. გვიყვარდეს ჩვენი – “მჭკნარი ბებია ჩვენი ბაბუა”...

მძედგრად ვსდგეთ კერას, რა ჭირმან გვეცა, გამოგავყრუა, სხვით – ხელთ შემყურედ, – ბაბიაობით, მოპკვება გენი –

ვეითა – აქვს აზრი “ხალხადვარსობდეთ” – თვარ გვერქვა ერი. ...კერას ვსხი ახლა, – მივსჩერებუვართ “ჯადოსნურ კოთხოს”,

რომ კარგსთანიერთად მსახურებს ცუდსაც, – ზოგჯერაც ოხრობს, სამწუხაროა, “სულგრძელობა” რამეთუ მთელობს,

ვაი – რომ ...”მიღწევა”... “ყურმოჭრილად – არს”, “ფასს აღმას-ოქროს”.

ანტონ ზანდია



# აკაკი თეგზაძის თარგმანები

## ალექსანდრი ჯუმაიძე

\*\*\*  
 თვლემს საქართველოს გორაკებზე  
 ღამის წყვილია,  
 არაგვის ხმაურს აუვისა  
 ხეობა მშვენი;  
 ბევრს არას ვნაღობ, ნათელია,  
 მაინც დიადი,  
 ნაღველი ჩემი, მშვენიერო,  
 ალაგსე შენით,  
 და მხოლოდ შენით... ამ ჩემს  
 სასოწარკვეთილებას  
 არცა რა ქენჯნის, არც რაიმე  
 შფოთი უგვრძნია,  
 გული კვლავ იწვის, უყვარს...  
 შეგბად  
 უჩანს მხილება  
 ტრფობის,  
 რადგანაც არ უყვარდეს,  
 არ შეუძლია.  
**1998**  
 \*\*\*  
 მე თქვენ მიყვარდით და იმ ტრფობის  
 ცეცხლი ძლიერი  
 ჩემს სულში, ვგონებ, არ ჩამქრალა  
 სულ მთლად, მზიანობს...  
 არ შეგაშფოთებთ იგი მეტად,  
 ხარ ბედნიერი,  
 სრულებით არ მსურს, რაიმეთი  
 გადარდიანო.  
 მე თქვენ მიყვარდით უსასოოდ,  
 სიტყვის უთქმელად,  
 ეჭვიანობით ბევრჯერ ცრემლიც  
 ხომ დაიღვარა?!.  
 მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად,  
 ისე გულწრფელად,  
 ღმერთმაც ჰქნას, სხვამაც შეგიყვაროს,  
 კარგო, იმგვარად.  
**1996**  
**სერგეი ესენინი**  
 \*\*\*  
 შენ არ გიყვარვარ, არც გებრალეები,  
 მშვენიებით სულ არ გესახელები?  
 მარადე ვნებით მოვრალი თვალები,  
 ჩამოასევენ მხრებზე ხელები.  
 შენდამი, ტურფავ, არ ვიყავ ტლანქი  
 და არც სინაზით ცრემლის დამდენი;  
 თქვი: რამდენს ასვი ალერსის ბანგი?  
 ბაგე და ხელი გახსოვს რამდენი?!  
 შენს ცეცხლს რომლებიც არ შეხებიან –  
 ლანდივით გაქრა ყველა უკლებლივ.  
 ბევრის მუხლებზე ჯდობა გრგებია,  
 დღეს იტახტრევენ ჩემი მუხლები.  
 შენი უაზრო მზერა მცხრალია,  
 ფიქრშიაც მრუშობ – სიძვას ჩვეული  
 და მეც არ გეტრფი ისე ძალიან,  
 ოცნების სატრფო მწვავს შორეული.  
 ალბათ არ სურდა, ბედს რომ ესარე,  
 ნურც ჩვენი გაყრის კვლავს სიმძიმელი...  
 როგორც შემთხვევით გადაგყვარე,  
 ისე დაგტოვებ მშრალი ღამილით.  
 წახვალ, თავის გზით წაგიყვანს ხედრი,  
 ნაღვლიან დღეთა დარდაცა გათოვებს...  
 უკოცნელთ ნულარ შეატყენ, გვედრი,  
 და ნურც უცოდველთ მოაჯადოებს!  
 ჩაჰყვები სხვასთან ერთად ხეივანებს,  
 ლაყობით წმინდა გრძობას შელახავ,  
 ხომ შეიძლება ბედარნიენებს,  
 მეც მოსიერნი – შეგხედეთ ხელახლა?!  
 უცხოსკენ ნაზად მიქცეულ მხარით  
 თავს ძირს დამიხრი რიღობით ვიცი,  
 მეტყვი: “საღამო მშვიდობის!” – წყნარად,  
 გათნე: “საღამო მშვიდობის, მისის!”  
 შფოთის ქარებმა ბევრი იქარეს,  
 დამცხრალი სულის სევდა გაგანდე...  
 ვისაც უყვარდა – ვერ შეიყვარებს,  
 დანატრულს კვლავაც ვერვინ აღანთებს!  
**1998**  
 \*\*\*  
 ასეთი ღამე ჯერ არ მინახავს,  
 ო, რა მთვარეა – თვალს ვერ ვაცილებ...  
 თითქო სათუთად ისევ ვინახავ  
 სულში დაკარგულ ჩემს სიყმაწვილეს.  
 შენ მეგობარო დღეთა მღუპართა,

ნუ თვლი ამ თამაშს წმინდა ტრფილად,  
 დე, იღვრებოდეს ჩემს სასთუმალთან  
 ეს მთვარე – შუქით საგსე ფილა.  
 მახინჯი სახე – მარჯვედ, სურვილით,  
 მან გამოგვეთოს სულის ხარებად...  
 ვეღარც შესძელი შენ სიძულვილი,  
 ჩემო კეთილო, ვერც შეყვარება.  
 მწამს, შეყვარება ერთხელ და იღბალს  
 ვუძაღლი, რომ ხარ უცხო სრულებით,  
 ჩვენ ეს ცაცხვები ამოდ გვზიბლავს –  
 მუხლამდე თოვლში ჩამარხულები.  
 შენ არ ფიქრობდი ჩემზე, მე – სხვაზე,  
 და გაგვიცივდა სისხლი ერთიან,  
 იაფფასიან სიყვარულს ასე  
 თუ ვითამაშებთ – ხომ სულერთია?!  
 ორთავე კარგად ვხვდებით, გვგზნებია,  
 მთვარის მოღურჯო ეს ათინათი,  
 ცაცხვებზე რომ არც ვყავილებია, –  
 მხოლოდ თოვლი და თრთვილი გვინათის.  
 თუნდ მოჩვენებით მკოცნე და ისევ  
 დამწვი უნებო ვნებით ვნებული,  
 ესაზმრებოდეს გულს სულ მაისი  
 და ვიყო მუდამ შეყვარებული.  
**1998**  
 \*\*\*  
 წარბები მწერალად ნუ მოიმშვილდე,  
 ზიზღს ვეღარ ფარავს გული კეთილი,  
 მიყვარს მაცდური შენი სიმშვიდე  
 და გამოხედვა თვალმიბნედილი.  
 შილიფად გასხავ – რა დამაღონებს,  
 მხარებე ხილვით – შეგნი საქალეთს,  
 მომკვდარუნებულ მელას მაგონებს,  
 რომ იჭერს ყვაებს, ყვავის ბახალებს.  
 დაე, იჭირე, არ მეშინიან,  
 აღარ ჩაიქრო გზნება მზაკვარი,  
 სულ მთლად გათოშლს ჩემს სულს ჟინიანს  
 მსგავსი მრავალი მოხვდა ლახვარი.  
 აღარ მიყვარხარ, ვერც გაგხდი ნეტარს,  
 ექო ხარ მხოლოდ, წარსულის ლანდი, –  
 მე შენს სახეში სულ სხვა ქალს ვხედავ –  
 ცისფერთვალეებს, მის ცისფერ მანდილს.  
 რა უყვით – შენებრ მშვიდი ვერ არის,  
 სიმკაცრეც შენის უცხო სხივიანს,  
 ისე შეარხევს ტანს ტანყვანარი –  
 გაჰფანტავს გულში რაც სიცივეა.  
 შენისთანების მთელი აძალა,  
 დაჩრდილავს ასეთს – თუნდაც დროებით?!  
 ეცადო – გულშიც ვეღარ დამალო  
 შური ალერსით ნასაზრდობი.  
 მიუღზარ, რა დამრჩა სხვა საამო დღეს,  
 გულს გადაგიშლი მე სამუდამოდ:  
 არ იფოს ჯოჯოხეთი, სამოთხე,  
 მოიფიქრებდა კაცი უდავოდ.  
**1998**  
 \*\*\*  
 ამოექსოვა ტბის ლაყვარდოვან  
 წყალს ალისფერი ცისკრის სხივები,  
 ფოგვანარის თავზე ისმის როჭოთა  
 ზარი – ცრემლებით მონამძივები.  
 და მოღალურიც სადღაც ბედს სტირის  
 ხის ფულურში მწარედ ვნებული,  
 მხოლოდ მე, სვიანს, არ მეტირება,  
 სული მაქვს მზისებრ განათებული.  
 შეღამებულზე, ვიცი, გამოხვალ,  
 მოგელი იქ – სად გზაა წრიული,  
 დავსხდებით ზვინქემ ახალ ბულულზე,  
 შეგვაპრობს განცდა მარადიული.  
 კოცნით დაგათობ და, როგორც ყვავილს,  
 დაგანხრავ გრძობა გაუხუნარი,  
 სიხარულისგან მთვარას ვინ მოჰკითხოს  
 ჭკუათმოფეღის განსჯის უნარი?!  
 ალერსის ცეცხლში თავად მოისერი  
 ფატას, უცნაურ ჟროლოვას გადამდეგ,  
 ვნებით გათანგულს მერე ბუნქებში  
 გაგინაბირებ განთიადამდე.  
 დაე, იტრონ მოთქმით როჭოთა,  
 თუნდაც ჩაიხრჩონ ცრემლის ღელეში...  
 არის ნაღველი ხალისიანი  
 ნათელი ცისკრის სიადფერეში.  
**1997**  
 \*\*\*  
 რა კარგი გოგო იყო ტანია –  
 ქვეყნის თვალი და მართლა მზის თვალი,  
 თეთრი სარაფნის კალთას მშვენირად

წითელი ქობა ნაგვირისტალი.  
 ხევის მახლობლად, წნული ორღობის  
 იქით – რაჟამს კი შებინდებუნდებდა,  
 დადის ტანია... მთვარე ღრუბლებთან  
 აშვობას და ალერსს უნდებდა.  
 მიესალამა ხუჭუჭთმიანი  
 ბიჭი მაცდური – თვალთა მინთებით:  
 “სჯობს, სიხარულო, დაემშვიდობოთ,  
 სხვა შევიყვარე და ვქორწინდები”.  
 სახეს დაეღო ფერი სუღარის,  
 მთლად გაიყინა, მოწყდა მკლავები  
 და მახრჩობელა გველივით ყელზე  
 ჩამოეღვარა დაღალ-კაყები.  
 “პეი, შენ, ბიჭო, ცისფერთვალეებ,  
 გულში საწყენად ნუკი დაგრჩება:  
 გამოიტყვები – სხვაზე ვიხოვდები,  
 ამო არის გამოსარჩლება”.  
 ჟღერს ჯვარისწერის ხმები წკრილა,  
 დაღუმებულან ცისკრის ზარები,  
 უზომო ლხინით თავდავიწყებულ  
 მთვარალებს ვერ იტყვს საზიდარები.  
 ეპ, გუგულები კი არ ნაღვლობენ –  
 ტირის ტანიას მთელი სახლობა,  
 საფეთქელს მძიმე ადევს ჭრილობა,  
 დახეთ მუხთალი ბედის მზაკვრობას.  
 შუბლზე ალისფერ ზვივით გვირგვინად  
 სისხლის წვეთების აწნდა კრისტალი, –  
 რა კარგი გოგო იყო ტანია,  
 ქვეყნის თვალი და მართლა მზის თვალი!..  
**1995**  
 \*\*\*  
 მკოცნე და მკოცნე, მოენთე გზნებად  
 სისხლს, ტკივილამდე მკოცნე – ვღაღადებ!..  
 ვეღარ იურეგებს მსუსხავი ნება  
 გულიდან დამრულ ცეცხლის ნაკადებს,  
 მხიარულთ შორის არც ერთი თასი  
 ჩვენ არ გვეკუთვნის – ბრიყვი როდი ვარ,  
 სცან, მეგობარო, სიცოცხლის ფასი,  
 ამ ქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოვდივართ.  
 მიმოხედე გარშემო მშვიდად,  
 აწმხე ნამიან წყვილიდით მთვარე,  
 როგორც ყვითელი ყორანი ციდან  
 თავს დაგეტრიალებს, დაგვცინის მწარედ.  
 მაკოცე, კოცნით გამაძლე ბარემ,  
 ჟამი მიმღერის ჭკნობის არიას,  
 ჩემი სიყვდილი იფროსა მთვარემ  
 ალბათ და ტიალს ეს უხარია.  
 ყოვლის დამშრეტო ძალაო გაქვებ,  
 სულაც არ მზაფრავს რისხვა სიყვდილის,  
 აღსრულებამდე ძვირფასის ბაგეს  
 მსურს დავეწყო კდემამიხილი.  
 მთვლემარე სივრცე ოცნებებს აშლის,  
 დაე, მუღამდე დაუფარავად,  
 მესმოდეს შოთხვის ხეთა შრიალში:  
 “დამშვიდი, კარგი, შენი არა ვარ!?”  
 ქეთის სინათლით აესებულ ტოლჩის  
 შეიგრძენ მადლი, კეთილი ბოლო,  
 სვი, მოილხინე სადარდელს მორჩი,  
 ჩვენ ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყნად მხოლოდ.

საღამოები მრგვალ მაგიდასთან  
 და საყვარელი მწერალთა სახლი,  
 მე მენჯენება, ეს იყო გუშინ  
 და არა მართლა დიდი ხნის წინათ!..  
 სულ სხვაგვარი მზე თუ ენთო გულში –  
 მათი ლექსებიც სხვა ცეცხლით ბრწყინავს.  
 შერჩენილი აქვს ცინცხალი ფერი  
 იმ გრძნულ დღეთა – მონატრულ მხარეს...  
 უერთგულესი პოეტი შენი  
 თბილისო, ძმობის რეკავდა ზარებს.  
 წარმომიდგება მე მისი წრფელი  
 ხელნაწერებში ჩარგული სახე –  
 ციური სხივით განათებული,  
 ქვეყნის უსახლვრო სიყვარულს ამხელს.  
 მოსცდა, მოვარდა ლექსის მწვერად  
 რჩეული მოღონის ხვედრიც თან დაჰყვა;  
 ის უკვდავია – ნაღვი დიდებაც  
 მხოლოდ სიყვდილის მოდის კვალდაკვალ...  
 სუფრასთან ყველა თანასწორია, –  
 არ უყვარს სიტყვის აღმაცერობა...  
 აქ ხომ პასტერნაკს, ბალმონტს, ესენინს,  
 ტიხონოვს... ხშირად ჰქონდათ სერობა.  
 ილხენდა ძმთა დიდი ოჯახი,  
 მეგობრობისას ცლიდნენ ფილებს...  
 გაფრინდა წლები, ვაგლას, დროის ჩარხს  
 უკან ვერავინ დაატრიალებს.  
 დღემდე ვერაფრით ვერ დავიოყე  
 გული აქეთვე ლტოლვას ჩვეული,  
 მასპინძელია სად ტიციანის  
 ასული სათნო და ღირსეული.  
**1982**  
**ალექსანდრე ლიუდინი**  
*კოცონი გაღმა ნაპირზე*  
 ცხოვრება ჩემი – წერტილთა მწერები...  
 გაღმა ნაპირზე კოცონი ერთება  
 და მირიადი სინათლის სხივი  
 მდინარის მღვრიე ჩქერში ინთქმება.  
 სივრცე, არც ნავი, არც ფონი, წყალი  
 ზოგან მორეგად ბრუნავს ნებისად...  
 ტალღა პირქუში, მძიმე და მწერალი  
 მისდევს პორიზონტს შებინდებისა.  
 მიღვლავს მშვიდად, ხანაც ღვართქაფით  
 და იმედებით – ყოვლთ უწინარეს, –  
 მიელტვის თავის მეორე ნაპირს  
 ცხოვრება, ლექსი, თვითონ მდინარე.  
 სადღაც შორს დარჩა წლების წვალება,  
 გზა ნისლიანი ძველად სავალი  
 განგების უხვად მხვდა მოწყალეობა,  
 დამინდო, როგორც სხვები მრავალი.  
 და თუ ვსუნთქავდი – წიგნებით მხოლოდ,  
 მახლდა სხვა ცეცხლი და სიხაუქე...  
 ისე ამენგრა ცხოვრება ბოლოს –  
 თავი და ბოლო ვეღარ გავუგე-  
 გული – რითმებად რომ იღვენთება,  
 დაეძებს ფერებს, სიტყვებს მოწონილს...  
 ო, მე ვიცოცხლებ – სანამ ენთება  
 გაღმა ნაპირზე რწმენის კოცონი!  
**1982**  
**ვლადიმერ სემიონოვი**  
*სიყვარულის ფილა*  
*ადონისაგლური მოტივი*  
 ჩაივლის ყველა: ავი, კარგი, ყველა გაქრება,  
 თვით წარუვალსაც წარიტაცებს დროის ქარე-  
 ბი...  
 სიყვარულის თასს ქვეყნად ორნი ამინანქრებენ  
 და სიყვდილამდე უნდა შესძლონ ერთად ტარ-  
 ება.  
 ესურს შეისვენო, დაიბრუნო იქნებ ზნეობა,  
 ვარდისფერ გზაზე რაკი ზოგჯერ შამბიც ირე-  
 ვა...  
 ცხოვრების შენის თანამგზავრი შენს უმწეობას  
 ფინანს სულის არქმევს შფოთვას და ახირებას.  
 თუმც, მოიდრევე, გამძიმებენ წლები ტიალი,  
 ნახტომი მზისკენ – უკანასკნელ ძალთა მოერე-  
 ბით!  
 გიჟურ ლტოლვაში სიყვარულით სავსე ფილა  
 დაიმსხურა დაგვრჩა კვლავ წყურვილი დაუო-  
 ები.  
 ამოდ წერები – მე ჩემი გზით მივალ ვნებული,  
 ყველამ თავისი გზით იაროს – როგორც ნება-  
 ვდეს...  
 ის სიყვარული – ასე ტანჯვით დაბადებული,  
 ვერ მივატანეთ განთიადის ვარსკვლავებამდე.

# რას წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები?

**გულ-სისხლძარღვთა დაავადებები** არის მიზეზი გულისა და სისხლძარღვების დარღვევების და მოიცავს გულის კორონარულ დაავადებას – მიოკარდიუმის ინფარქტი, ცერებროვასკულურ დაავადებას – თავის ტვინის ინსულტი, მომატებულ არტერიულ წნევას (არტერიული ჰიპერტენზია), გულის რემატულ და თანდაყოლილ დაავადებებსა და გულის უკმარისობას. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითადი რისკის ფაქტორებია: თამბაქოს მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯანსაღი კვება და ალკოჰოლის საზიანო მოხმარება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2008 წლის მონაცემებით, მიოკარდიუმის ინფარქტითა და თავის ტვინის ინსულტით, 17,3 მლნ-ზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად. 5-დან 4 სიკვდილის შემთხვევა მოდის დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნებში, ქალთა და მამაკაცთა პოპულაციებში თანაბრად.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა ძირითადი ჯგუფის მორფოლოგიური საფუძველი, ათეროსკლეროზული პროცესია, რომლის დაღვევასა და მის ირგვლივ შემავრთველ ქსოვილის განვითარებაში. ეს უკანასკნელი იწვევს სისხლძარღვის კედლის გასქელებასა და დეფორმაციას, სანათურის შეფერხებასა და სისხლის მიმოქცევის შეფერხებას.

ფიბროზული ფოლაქები სისხლძარღვში განვითარებას იწვევს ბავშვთა ასაკიდან. კვლევებით დადგენილია, რომ 10-14 წლის მოზარდთა 20%-ში აღვილი აქვს ათეროსკლეროზულ ცვლილებებს, რომელთა ინტენსივობა ყოველ მომდევნო 5 წელიწადში 10%-ით მატულობს. იმის მიხედვით, თუ რომელ ორგანოს კვებას დაზიანებული სისხლძარღვი, ვითარდება ორგანოს არასაკმარისი კვებით განპირობებული სიმპტომები, გულის მკვებაზე გვირგვინოვანი არტერიების დაზიანებისას – ესაა სტენოკარდია და გულის კუნთის ინფარქტი, ხოლო ტვინის მკვებაზე სისხლძარღვების დაზიანებისას – თავის ტვინის ინსულტი.

ინსულტი ისეთი პათოლოგიური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ირღვევა ტვინის სისხლთა მოძრაობა. ეს შესაძლებელია იყოს განპირობებული, ტვინის სისხლძარღვის დაზიანებით, რაც იწვევს ტვინის ინფარქტს ან სისხლჩაქცევას ტვინში. ინსულტი მწვავე სამედიცინო გადაუდებელი მდგომარეობაა, რომლის დაგნოსტიკისა და მართვის პრინციპი ეფუძნება კონსერვატიული „დრო არის ტვინი და ტვინი არის დრო“. პაციენტებში ინსულტის ადრეულ ეტაპზე ეფექტურ მართვას შეუძლია სიკვდილობისა და ავადობის შემცირება, თუმცა ადრეული მართვა შეუძლებელია დროული დიაგნოსტიკისა და შეფასების გარეშე.

**იცოდეთ, როდის მიმართო ექიმს**  
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მიუხედავად სევალების სახეობისა. ამ პათოლოგიის განვითარების რისკებისა და სახიფათო ნიშნების ცოდნა დაგეხმარებათ, თვალა ადვილად და დროულად იგრძნოთ საშიშროება.

ხართ თუ არა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მხრივ რისკის ქვეშ თქვენი პერსონალური რისკი და მოიხსენიებთ ადინამიკურ დაავადებათა განვითარებასთან ასოცირებულ ფაქტორებზე, რომელთა ერთი ნაწილის კონტროლი შეუძლებელია, ხოლო დანარჩენების კონტროლს თქვენ შეძლებთ.

ფაქტორები, რომელთა კონტროლიც შეუძლებელია:

- ასაკი,
- სქესი (მენოპაუზის შემდეგ ქალების რისკი უთანაბრდება და უსწრებს მამაკაცებისას),
- ოჯახური ისტორია.
- ფაქტორები, რომელთა კონტროლსაც თქვენ შეძლებთ:
- ქოლესტეროლის შემცველობა სისხლში,
- ფიზიკური აქტივობა,
- თამბაქოს მოხმარება,
- წონა,
- არტერიული წნევა,
- შაქრიანი დიაბეტი.
- ძირითადი ნიშნები და სიმპტომები საერთოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უმრავლესობისთვის.
- თუ თქვენ პერიოდულად გვილინდებით შემდეგი სიმპტომები, მიმართეთ ექიმს:

ძლიერი თავბრუსხვევა და წონასწორობის დარღვევა

უცებ განვითარებული დაღლილობის შეგრძობა

აჩქარებული გულისცემა (100 და მეტი დარტყმა წუთში)

არარეგულარული გულისცემა

ტკივილი გულმკერდის მდამოში ან დისკომფორტი ფიზიკური დატვირთვისას, რომელიც იხსნება დასვენების შემდეგ

სუნთქვის გაძნელება ფიზიკური დატვირთვისას და მოსვენებით მდგომარეობაში

ძილის დარღვევები

ინსულტის მაღალი რისკის პაციენტებსა და მათ ოჯახს წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ინსულტის საკარგოდო სიმპტომების შესახებ, რათა მათი გამოვლენისთანავე მათ დაუყოვნებლივ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას ან გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

გულის შეტევა უხშირესად ვითარდება უცერად, მაგრამ არა ყოველთვის და გარკვეულ შემთხვევებში, ამ ინციდენტის წინ უსწრებს:

შეტვებით ხასიათის ტკივილი, წვა ან ზეწოლა მკერდის ძილის უკან ტკივილი, რომელიც ვრცელდება და (ან) ირადირება ზურგში, კისერში, ყბებში ან მხარში, გულისხევა, ცივი ოფლი

სწრაფი (ან) არარეგულარული გულ-ისცემა

ქალებში ტიპური იშემიური ხასიათის ტკივილი გულმკერდში შედარებით იშვიათია. ქალებში ამ მხრივ საყურადღებო სიმპტომებს მიეკუთვნება:

ქოშინი

გულისხევა (პირღებინება)

ტკივილი ზურგში ან ყბებში

უცერად განვითარებული დაღლილობის ან სისუსტის შეგრძობა

ხედა

შფოთვა

**რატომ არის გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და მათი განვითარების რისკი საყურადღებო?**

მსოფლიოში გულის დაავადებები და ინსულტი მოიხრება ორ ძირითად პათოლოგიად სიკვდილობის სტრუქტურაში, 15 წლის ზეით, ასევე შესაძლებელია მხრით მხრით ავადობის ტვირთის მხრივ აუვ (მიღსი-ს) და უნიამარული დეპრესიული დაავადებები ლიდერის როლს დაავადებათა ტვირთის, ასევე სიკვდილობის მხრივ.

საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ავადობისა და სიკვდილობის სტრუქტურაში დიდი წილის გამო. არაგადამდებ დაავადებათა შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის მაჩვენებელი 71%-ს აღწევს. დიდი წილი კარდიო-ვასკულურ და ზოგადად არაგადამდებ დაავადებათა შორის – პრევენტიულია ქვეყნით რისკ-ფაქტორების (თამბაქოს მოხმარება, არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება) კორექციის გზით. არაჯანსაღი ქცევები არის გზა ისეთი მეტაბოლური – ფსიქოგენური ხასიათის ცვლილებებისაკენ, როგორცაა წნევის მომატება (ჰიპერტენზია), ჭარბი წონა (სიმსუქნე), სისხლში გლუკოზის მაღალი დონე (შაქრიანი დიაბეტი) და ლიპიდების შეცვლილი სპექტრი (დისლიპიდემია).

300-მდე რისკ-ფაქტორია ასოცირებული გულის კორონარული დაავადებისა და ინსულტის განვითარებასთან, ამ ფაქტორების მნიშვნელობა განისაზღვრება სამი კრიტერიუმით: მაღალი გავრცელება პოპულაციათა უმრავლესობაში, დამოუკიდებელი გავლენა ამ პათოლოგიების განვითარების მხრივ, მათი ეფექტური მკურნალობისა და კონტროლის ზეგავლენა – აღნიშნულ დაავადებათა რისკის შემცირებაზე. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყნისთვის რისკ-ფაქტორთა პრიორიტეტები სპეციფიკურია. არტერიული ჰიპერტენზია კარდიო-ვასკულურ დაავადებათა ძირითადი რისკის ფაქტორია. არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების მხრივ საქართველო მოიხრება იმ 5 ქვეყანას შორის მსოფლიოში, სადაც მოსახლეობაში ყველაზე მაღალია არტერიული წნევის ციფრები. ქართულ პოპულაციაში ჰიპერტენზიის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს აგრეთვე მისი წვლილი სიკვდილობის სტრუქტურაში, რომელიც შეადგენს 48,8%-ს. 2010 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის (18-64 წ.წ.) მესამედზე მეტს აქვს მომატებული არტერიული წნევა



და ამ კონტინგენტში ნახევარზე მეტი არ მკურნალობს. ანტიჰიპერტენზიული მკურნალობის დაბალი ეფექტურობის ერთ-ერთ მიზეზად მოიხრება პაციენტის დამოულობა მკურნალობაზე.

დამოულობა (compliance) განისაზღვრება როგორც პაციენტის მიერ ექიმის რჩევების შესრულების ხარისხი. ეს უკანასკნელი გულისხმობს რჩევებს ცხოვრების წესის ცვლილებებისა და დანიშნულებათა შესრულების სიზუსტეს.

ადეკვატური პიპოინფორმაციის ეფექტის მისაღწევად მკურნალობის პროცესში აუცილებელია აღნიშნული სამედიცინო რეკომენდაციების მინიმუმ 80%-ით შესრულება.

ფსიქოლოგიური მახასიათებლების მხრივ, ხშირად პაციენტის მიერ ჰიპერტენზია განიხილება როგორც სტრესის შედეგი, შფოთის ან ნევროზულობის გამოხატულება და პაციენტის აზრით, ის არ საჭიროებს მკურნალობას. გარდა ამისა, ზოგიერთი მას თვლის ხანდაზმულობის თანხლებ ფიზიოლოგიურ მოვლენად და ამდენად, შესაბამისად არ თვლის საჭიროდ ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტების მიღებას. ქვეყნის პოპულაციაში მეტად აქტუალურია აღნიშნული საკითხები და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გამოჩინება:

**როგორ ავიცილოთ თავიდან გულ-სისხლძარღვთა დაავადებები?**

– პოზიტიურია ის ფაქტი, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით ადრეული სიკვდილობის 80% პრევენტიბელური, ანუ თავიდან აცილებადია.

– ჯანსაღი კვება, თამბაქოზე უარის თქმა, რეგულარული ფიზიკური აქტივობა

– არის ეფექტური პრევენციის გასაღები.

– ბალანსირებული კვებით შესაძლებელია

ბელია ჯანმრთელი გულისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის შენარჩუნება.

– კვების რაციონში რეკომენდირებულია მარცვლეული პროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის, მკვლე ხორცის, თევზის-სიჭარბე, მარაღის, შაქრისა და ცხიმის შეზღუდვა.

– 30 წუთი რეგულარული ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიურად დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ჯანმრთელი გული, ხოლო 60 წუთი რეგულარული ვარჯიშისა, კვირის უმეტეს დღეებში, არის გარანტია, მიაღწიოთ და შეინარჩუნოთ ჯანსაღი წონა.

– გულის დაავადებათა და ინსულტის რისკი იწვევს შემცირებას მამინე, როგორც პროვინცია უარს იტყვის თამბაქოს მოხმარებაზე, ხოლო 1 წლის შემდეგ ფაქტობრივად ეს რისკი ნახევრდება.

**Mkurnali.ge**

## როგორ მოვუაროთ მზრალ კანს სახლის პირობებში ექიმთან მისვლამდე

ნებისმიერ ადამიანს შესაძლებელია ჰქონდეს მშრალი კანი. კანი ხდება მშრალი, როდესაც ის კარგავს წყალს. კანის სიმშრალის გამოწვევა მიზეზია:

**ასაკი:** ასაკთან ერთად კანი ხდება თხელი და უფრო მშრალი. 40 წლის ასაკისთვის კი ბევრ ადამიანს სჭირდება ყოველდღიურად კანის დამატენიანებელი კრემის გამოყენება.

**კლიმატი:** მშრალი კლიმატის ქვეყნებში ცხოვრება აშრობს კანს.

**კანის დაავადებები:** ნებისმიერი ასაკის ადამიანი, რომელთაც აქვთ ატოპური დერმატიტი, ფსორიაზი ასევე იწვევს მშრალი კანის განვითარებას.

**პროფესია:** ძიებები, ექსტრემი, მზარეულები, თმის სტილისტიები, დიასახლისები და სხვა პროფესიის ხალხი, რომლებსაც ხშირი შეხება აქვთ წყალთან მთელი დღის განმავლობაში. შედეგად კანი ხდება გამოშრალი, მგრძობიარე და დახეთქილი.

**ცურვა:** ქლორის მაღალი დონე აუზში იწვევს კანის სიმშრალეს.

**7 რჩევა რას ვერიდოთ და როგორ მოვუაროთ მშრალ კანს სახლის პირობებში ექიმთან მისვლამდე**

**თბილი წყალი დაბ, ცხელი არა**  
რეგულარულად ცხელი შხაპის მიღება აცლის თქვენს სხეულს ბუნებრივ ბარიერს, ეს ბარიერი კი ეხმარება კანს წყლის შეკავებაში, უზრუნველყოფს კანის სიგლუვებას და ტენიანობას. ასე რომ, შეამცირეთ ტემპერატურა და არ გაჩერდეთ დიდი ხნის განმავლობაში შხაპის ქვეშ. ასევე მნიშვნელოვანია აბაზანის მიღების ხანგრძლივობის გათვალისწინებაც. ისინი, ვინც მიდრეკილი არიან კანის სიმშრალისაკენ დაბანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5-10 წუთს, იმისთვის, რომ კანი ზედმეტად არ დაღუბს.

**დასაბანი საშუალებების შერჩევა**  
კანის მოვლა იწვევს კანის დაბანით. თუ გაქვთ მშრალი კანი, მოერიდეთ ჩვეულებრივ საბუნებო და უხეშ საწმენდ საშუალებებს. საბანის საშუალო PH დონე არის 9-დან 10-მდე. კანის ნორმალური PH დონე 4-დან 5-მდე მერყობს. ამ განსხვავებების გამო საბუნის შეუძლია თქვენი კანის PH დონე გაზარდოს არასასურველ ზღვრამდე და გამოიწვიოს ან გააღრმავოს კანის სიმშრალე.

უმჯობესია იქნება, თუ არ გამოიყენებთ ჩვეულებრივ საბუნებს, რადგან ისინი, როგორც წესი, შეიცავენ ნატრიუმის ლაურისულფატს, ეს ქიმიური ნივთიერება ქმნის საბანის ქაფს და აღიზანებს კანს. ასევე არ არის რეკომენდებული ანტიბაქტერიული საბუნების გამოყენება მშრალი კანის შემთხვევაში, რადგან ის ასევე ხელს უწყობს კანის გამოშრობას. შეაჩერეთ არჩევანი უსაპნო, ჰიპოალერგიულ, არომატისაგან და ქიმიური დანამატებისაგან თავისუფალ საშუალებებზე. სასურველია შეიცავდეს ცერამიდებს. ცერამიდები არის ცხიმოვანი მოლეკულები, რომლებიც ქმნიან კანის გარე ბარიერს. ისინი ეხმარება კანს ტენიანობის შენარჩუნებაში.

**მშრალი კანი და გაპარსვა**  
გაპარსვამ შესაძლოა გააღიზიანოს მშრალი კანი, ასევე გაპარსვის დროს არასასურველ თმისთან ერთად კანს აცლით ბუნებრივ ზეთს. გაპარსვისთვის საუკეთესო დროა შხაპის შემდეგში პერიოდში. თმა უფრო რბილი და დამოვლია. ყოველთვის გამოიყენეთ საპარსი კრემი ან გელი, გაპარსეთ თმის ზრდის მიმართულებით, რათა თავიდან აიცილოთ კანის დაზიანება. საპარსის პირი შეცვალეთ 5 ან 7 გაპარსვის შემდეგ. დაბლაგვებულ საპარსის პირს შეუძლია გამოიწვიოს დამატებითი კანის გაღიზიანება.

**მზისგან დაცვა**  
მოგესვენებთ, კანის სიმშრალე წყლის შეკავების დარღვევასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად კანის ბარიერი შენარჩუნდება და მზის ულტრაიისფერი სხივები განსაკუთრებით მავნედ მოქმედებენ მასზე. იწვევენ ნაადრევ დაბერებას და ნაოჭების განვითარებას. ამიტომაც სასურველია, მშრალი კანის მქონე ადამიანებმა წლის მანძილზე მუდმივად გამოიყენონ მზის დამცავი კრემები SPF 30-დან სპეციალისტთან შეთანხმებით.

**კანის დატენიანების წესები**  
რეკომენდებულია დამატენიანებელი კრემის შერჩევას მის შემადგენლობაში შედიოდეს ცერამიდები, შის კარაქი, სტეარინის მჟავა, გლიცერინი.

დაიბანეთ ჰიპოალერგიული უსაპნო თხევადი გამწმენდით შეიმშრალეთ პირსახოცით და დაელოდეთ კანს შემრეს არაუმეტეს 20 წამისა.

დამატენიანებელი დაიტანეთ ოდნავ სველ კანზე, აბაზანის შემდეგ, რათა შეინარჩუნოს ტენიანობა.

დაიტენიანეთ ხელები ყოველი დაბანის შემდეგ, რათა აორთქლებულმა წყალმა კიდევ უფრო მეტი ტენიანობის დაკარგვა არ გამოიწვიოს.

**ჰაერის დამატენიანებელი მოწყობილობა**  
ცივი და მშრალი ჰაერი მთავარი მიზეზია მშრალი და გაღიზიანებული კანისა. თქვენს სახლში არსებული გამათბობელი მართალია გათბობს, მაგრამ ამასთანავე იწვევს ჰაერის ტენიანობის დაკარგვას. რაც იწვევს მშრალი კანის კიდევ უფრო დასკდომად დახეთქვას.

სწრაფად და მარტივად რომ შეავსოთ დაკარგული ტენიანობა, გამოიყენეთ დამატენიანებელი მოწყობილობა საძინებელში, რაც საშუალებას მოგცემთ მარტივად აკონტროლოთ ტენიანობა და კანი დაიცვათ გამოშრობისაგან.

**ხელთათმანები და ტანსაცმელი**  
ხელთათმანების ტარებით შეგიძლიათ შეამციროთ კანის გამოშრობა და დახეთქვა. დარწმუნდით, რომ ხელთათმანები გიკეთიათ სანამ:  
ზამთარში გარეთ გახვალთ;  
შეასრულებთ ისეთ სამუშაოს, რომელიც მოითხოვს ხელების დასველებას;  
სანამ ხელით შეეხებით ქიმიკატებს და სხვა ნივთიერებებს;  
ატარებთ ბამბა ან აბრეშუმი თქვენი ტანსაცმლის ქვეშ. მატყლი ან სხვა ქსოვილი აღიზიანებს კანს.

**Mkurnali.ge**

განხილვა

ნონა ნაცვლიშვილი

შემთხვევითი როდია, ყოველი წლის იანვარში რომ ვიხსენებ ქალბატონს, რომელმაც ნახევარი საუკუნე ჩუმად, უპრეტენზიოდ იღვაწა.



ნონა ნაცვლიშვილი

მრავალი თაობა აღზარდა და დამაშვრალმა დაიკრთა გულზე ხელები. მოწოდებით პედაგოგი, დიდბუნებოვანი ადამიანი გახლდათ ქალბატონი ნონა ნაცვლიშვილი.

გულსტკივილით ვიხსენებთ ამაგდარ ქალბატონს. ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული!



ოთარ ბაგდასარიანის განხილვა

ექვსი თვე გავიდა... ქარიც სხვანაირად ავობს თითქოს და წვიმის წვეთებიც სხვანაირად ხმაურობენ.

ოთარ ბაგდასარიანი



როსტომ დავითაშვილის მონათრება

ერთი მტანჯველი წელი გავიდა უშენოდ ჩვენო კეთილი, ალმართალი ძმარო. მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება.

როსტომ დავითაშვილი

ამბავნარი

ინგლისელმა ექიმებმა გამოიანგარიშეს, რომ ფიზიკურად ნორმალური ადამიანის ქონიდან შეიძლება დამზადდეს შვიდი ნაჭერი საპონი.

რკინიდან, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი შეიცავს, ერთი საშუალო სიდიდის ლურსმანის დამზადება შეიძლება.

ფლორიდელმა გარეული ცხოველების მოძიებნიერებელმა პენსიაში გასვლის შემდეგ ორი ლომი, ოთხი ვეფხვი და გარეული სხვა ცხოველები შინ წაიყვანა საყვარელ საქმეს რომ არ ჩამოშორებოდა.

33 წლის ახალგაზრდად გვკმა ნაკომ სცადა მსოფლიო რეკორდი მოეხსნა ლუდის სმაში, თუმცა, მარცხი განიცადა: 76-ე კაიხას რომ სვამდა გული გაუჩერდა და სულიც განუტევა.

სამაგიეროდ, 104 კაიხა ლუდის შესმით მსოფლიო რეკორდი ისევ ახალ ზეღანდიელმა მოხსნა. ამ რაოდენობის ლუდი მან 9,5 საათში დალია.

კბილის პასტა 5 000 წლის წინათ გამოიგონეს ეგვიპტელებმა.

გამოანგარიშებულა, რომ დიდი (500 000 მცხოვრებზე მეტი) ქალაქების მოსახლეობა ერთ დღეში იმდენ მავნე ნივთიერებებს ჩაისუნთქავს, რამდენსაც ერთი კოლოფი სიგარეტი შეიცავს.

თავდაპირველად ევროპაში ახლადშემოტანილი კარტოფილის მხოლოდ ყვავილებს სცემდნენ პატივს. საკვებად იგი დაახლოებით 450-500 წლის წინ გამოიყენეს. რუსმა მეცნიერებმა კი, სპეციალური კავკასიური ყინვაგამმლე ჯიშები გამოიყვანეს, რომელიც ერთობ პოპულარულია საქართველოში, როგორც მთაში, ისე ბარში.

ტუბერკულოზის კერის კვალი ამერიკელმა პათოლოგ-ანატომებმა კოლუმბის დროინდელ მუმიას აღმოუჩინეს. მისი ასაკი ათას წელს აღემატება.

სიფილისი ევროპაში ესპანელ მებღვაურებს ამერიკიდან შეუტანიათ.

ფსიქოლოგების მტკიცებით, სიგარეტის მწვევლთა სინდრომი: რისკისადმი, სახიფათო ცხოვრებისადმი მიდრეკილება, ისინი საგზაო-სატრანსპორტო ავარიის მსხვერპლნი სხვებზე ხშირად ხვდებიან.

ნონა ბაგდასარიანი

თალიო მიქაძე

გარდაიცვალა ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი, ქალბატონი თალიო ვლადიმერის ასული მიქაძე.

დაიბადა 1926 წელს სოფელ დანიში.



სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იყო რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი.

1961-1974 წლებში იგი პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა, შემდეგ კი სამტრედიის მესამე საჯარო სკოლას ხელმძღვანელობდა.

ქალბატონი თალიო აქტიურად მონაწილეობდა ქალთა რაიონული საბჭოს მუშაობაში.

არჩეული იყო რაიონული საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად, რაიკომის ბიუროს წევრად. ერუდირებული, ამაგდარი ქალბატონის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება საზოგადოებისა და აღზრდილთა ხსოვნაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გაგვირგავე მუნიციპალიტეტის საკრებულო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი

სამტრედიისთვის ბოლომდე დახარჯული

14 იანვარს, სწორედ ძველი სტილით ახალი წლის საღამოს შვილი და რძალი გააცილა, დალოცა, წუთიერად დალილობა იგრძნო, ლოცვებზე წამოწვა და თვალები მილულა... ამ საწუთროდან უჩემოდ წავიდა ისე, რომ ძვირფასი მუხრანის სიტყვის თქმა ვერ მოასწრო.

მართლაც ბევრის მომსრუე და მხარველი გახლდათ ქალბატონი თალიო მიქაძე. ახლახან, ენკენისთვეში მისმა მეგობრებმა დაბადების 90 წელი გულწრფელად მიულოცეთ. როგორი მაღლიერი იყო!

სიტყვებს ძებნა არ სჭირდება - სამტრედიისთვის ბოლომდე დახარჯული, აქტიური კომკავშირული და პარტიული ხელმძღვანელი, № 3 საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი დირექტორი, ქალთა რაიონული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი; ქალი - სრული ამ სიტყვის გაგებით, ღირსეული მეუღლე, დედა და ბებია, საუკეთესო მეგობარი და კოლეგა, საიმედო ახლობელი და მეზობელი, კარგი დიასახლისი. ამ ასაკში რომ ვერ გაგიმეტებენ საიმეფეფოდ, ე. ი. მართლა ღირსეულად გიცხოვრავს. ბევრ სიკეთეს იხსენებენ თალიო ვლადიმერის ასულზე, დრო ყველაფერს აუასებს. როგორ მიხაროდა, 1995 წლიდან ქალთა რაიონულ ორგანიზაციებში მასთან ერთად რომ მიხდებოდა ფიქრი და ზრუნვა ჩვენი რაიონის ქალთა მტკიცეწეულ და საჭირობოთო საკითხებზე. ერთად ბევრის გაკეთება შეუძლებელი. ამ ურთიერთობამ უფრო ახლო დამანახა მისი მაღალი ზნეობრივი თვისებები, უშუალობა და უბრალოება. მაინც ვერ გადავლახე მისდამი განსაკუთრებული რიდი და პატივისცემა.

გმადლობთ, თალიო ვლადიმერის ასული იმისთვის, რომ არსებობდით, იღვწოდით სამტრედიისთვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისთვის, დანიშნულ და სამტრედიელ თანამემამულეთა დიდი სიყვარულისთვის, კარგი შთამომავლობისთვის.

ნათია ბაგდასარიანი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკი, ქალბატონი თალიო ვლადიმერის ასული მიქაძე და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი თალიო ვლადიმერის ასული მიქაძე და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გულიო და თამაზ მიქაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უფროსი მეგობრისა და კოლეგის, ჭეშმარიტი სამტრედიელის, შესანიშნავი ქალბატონის

თალიო ვლადიმერის ასული მიქაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ ჭირისუფლებს.

უახლოესი მეგობარი თინა წითელიშვილი, იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი თალიო მიქაძე და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯემალ ფოფხაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ნორი სამხრელი მოჭარბაქების მორიგი წარმატება

2017 წლის 3-13 იანვარს ქუთაისის მია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი მე-4, მე-3 და მე-2 თანრიგისათვის შორის, ასევე, 6 და 8 წლამდე უთანრიგო გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

ტურნირის დასურვებზე მოჭადრაკეებს მიესალმა საქართველოს პარლამენტის წევრი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი გენადი მარგველაშვილი.

ამ საჭადრაკო ტურნირზე



შესანიშნავი შედეგი აჩვენეს სამტრედიის საორტული სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ივანე კილტავა).

6 წლამდე ასაკის უთანრიგო ბიჭებს შორის ბრწყინვალე შედეგით 7-დან 7 მოგებით პირველი ადგილი არავის დაუთმო 5 წლის ლუკა რუხაძემ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

8 წელს გადაცილებულ მე-4 თანრიგის ბიჭებს შორის 9 შესაძლებლობიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა დემეტრე მეფარიშვილმა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა), ხოლო 8 წელს გადაცილებულ უთანრიგო გოგონათა პაექრობაში პირველი ადგილი მოიპოვა 9 წლის ლიზა გოგაძემ (მწვრთნელი ნინო ჯვარციანიშვილი).

მესამე თანრიგის გოგონებში მე-2, საპრიზო ადგილზე გავიდა ნინო მეფარიშვილი (მწვრთნელი ბესო ლეჟავა), მეორე თანრიგის ჭაბუკებში მესამე ადგილი წილად ხვდა მათე შენგელიას (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

წარმატებით იასპარეზა 10 წლის გიორგი ბურჯაძემ მასზე გაცლებით უფროსი ასაკის მოჭადრაკეებთან ჭიდილში. ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ბლიც-ტურნირი, რომელშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, 11 პარტიიდან 11-ვე მოგებით ჩემპიონი გახდა მერი არაბიძე.

მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები საპრიზო შედეგებით, მეორე ხარისხის სიგელი გადაეცა მწვრთნელ ბესო ლეჟავას.

გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით. ვულოცავთ და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სამტრედიის საორტული სკოლის მოსწავლეებს (დირექტორი ივანე კილტავა).



გენადი მარგველაშვილი

ჯიშის აკადემიის წევრი, პარლამენტი



ამ პოლიტიკას, ბინძურს, ერთი მინუსი აქვს, ვისთანაც თაფლად იყავი, იმას დაუშენს ლაფს.

## ვულოცავთ!



საქართველოს რეინიგების დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს კოლექტივი სიამაყით ულოცავს ამავე სამმართველოს უფროსს, ბატონ ზურაბ გოგობიას, "ფილიალ ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგების დეპარტამენტის 2016 წლის საუკეთესო მენეჯერის" წოდებას და შესაბამის სიგელს, რომელიც მას მიენიჭა საქართველოს რეინიგების ხელმძღვანელობის მხრიდან 2016 წლის განმავლობაში გაწეული წარმატებული მოღვაწეობის აღსანიშნავად.

სამმართველოს პრეზიდიენტი

"სამტრედიის მაცნე" კოლექტივი ვულოცავთ ჩვენს ერთგულ მეითხველს და მეგობარს, ბატონ ზურაბ გოგობიას, "ფილიალ ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგების დეპარტამენტის 2016 წლის საუკეთესო მენეჯერის" წოდებას. წინვლასა და წარმატებას ვუსურვებთ პროფესიულ საქმიანობაში.

სამტრედიის მაცნე

### პატივცემულ დემა გიორგაძეს!

მაღლე ჩვენი რაიონის ყველასათვის საყვარელ, დამსახურებულ ექიმს დემა გიორგაძეს 90 წელი შეუსრულდება. იგი ათეული წლებია, მაღალი პროფესიონალიზმით უანგაროდ ემსახურება ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობას, მიუხედავად ასაკისა, იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით მოღვაწეობს. მინდა, მისი დაპატივისცემა პატარა ლექსით გამოვხატო.

როგორ მოსულა შემოდგომის დღე,  
ოთხმოცდაათ წელს შემოჭრაგეს წარი,  
შენს უანგარო ერისკაცობას  
არ გასჩენია არასდროს შხარი.  
შენს დაუღალავ შრომას და ვარჯას  
მუდამ თან ახლდა ღიმილი, ხვევნა,  
უფალს ვაგუდრებთ - დიდხანს გვცოცხლე  
ჩვენი ექიმი ბატონი დემა.  
შენს პროფესიულ ვაკვალოვლ ჭებზე,  
მუდამ იქნება ღიმილი, ხვევნა,  
შენს ნატურფალებს ადორმინებს,  
კვალში მოგვყვება პატარა დემა.  
ვისურვებთ დიდხანს დიდხანს სიცოცხლეს,  
ცხოვრების ჭაზე ვარდი გეფინოს,  
სამადლობელ და ალალ სტრიქონებს  
შენს სადიდებლად დიდხანს ედინოს!

ნათელა კახაძე

რედაქციის მისამართი:  
სამტრედიის რაიონული ქ. №6  
ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან გოგია  
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაქაძე  
გამომცემი რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე